1. А. И. Тихонов, С. А. Тихонова, Т. Г. Ярных, В. А. Соболева, А. Ф. Пиминов, В. М. Толочко, О. Н. Должникова, М. Ф. Пасечник, Л. М. Винник. Основы гомеопатической фармации. Уч. для студ. фармацев. спец. 2002, Харьков: ВУЗ. Мин. здрав. Укр. – Нац. фармацев. акад. Укр.
2. И. С. Чекман. Клинико-экспериментальные основы фармакологии и гомеопатии. 1999, Киев.
3. დ. ბუტიკაშვილი. თეორია ნოსფეროს შესახებ. 2011, თბილისი.
4. გ. ბერიძე. ჰოლოგრაფია ზოგადად. კომპიუტერული ტექნოლოგიები, 31.10.2012.
5. Голография. Материал из Википедии – свободной энциклопедии.
<http://ru.wikipedia.org/wiki/Голография>
6. И. И. Краснюк, Г. В. Михайлова. Фармацевтическая гомеопатия. 2005, Москва.
7. სიმილია. ჩვენს შესახებ.
http://www.similia.ge/index.php?option=com_content&view=article&id=57&Itemid=53

ПРАКТИЧЕСКИЕ ПРИЛОЖЕНИЯ НАНОСТРУКТУРНЫХ ПОКРЫТИЙ НИТРИДА ТИТАНА

В. М. Шулаев¹, А. П. Редкокаша², Д. А. Листопад²

¹ ННЦ «Харьковский физико-технический институт»

Харьков, Украина

v.shulayev@kipt.kharkov.ua

² ООО «Торговый Дом «ОТТОМ»»

Харьков, Украина

ottom@ottom.com.ua

Принята 3 апреля 2014 года

На сегодняшний день полифункциональные наноструктурные пленки и покрытия нитрида титана продолжают оставаться первыми среди используемых на практике упрочняющих, эрозионно- и коррозионностойких, декоративных и других видов покрытий. Это наиболее коммерциализированные наноструктурные пленки и покрытия. Они производятся сотнями компаний и фирм под десятками торговых марок во всех развитых странах мира. Технологии и оборудование их синтеза хорошо освоены промышленностью. Процессы синтеза наноструктурных покрытий нитрида титана экологически чисты. Покрытия химически инертны по отношению к факторам окружающей среды. Например, их применение в качестве упрочняющих и декоративных покрытий экономически обосновано. Сформировались целые направления в промышленности на основе практического использования покрытий нитрида титана, а также новые научные направления по физико-технологическим исследованиям.

Нитрид титана – бинарное химическое соединение титана с азотом состава $TiN_y V_{1-y}$ (где y – содержание азота, $y = 0.38 - 1.00$ при $T \geq 1080$ °С, $1 - y$ – концентрация структурных вакансий в подрешетке азота) [1]. Это соединение представляет собой тугоплавкую фазу внедрения (ТФВ) с широкой областью гомогенности. Специфика нитрида титана, как и других ТФВ на основе двойных и тройных нитридов и карбидов переходных металлов IV A и V A подгрупп периодической таблицы элементов, состоит в том, что область гомогенности не совпадает со стехиометрическим составом [2]. Другая особенность всех кристаллических ТФВ связана с тем, что точный стехиометрический состав является скорее исключением, чем правилом. При синтезе наноструктурного нитрида титана любым известным способом наблюдаются значительные отклонения от стехиометрии [1, 3 – 5]. Таким образом, широко используемый на практике кристаллический нитрид титана [6, 7] во всех состояниях (порошкообразном, пленочном, в виде покрытий, монолитном) является практически всегда нестехиометрическим.

Наибольшую популярность получили наноструктурные покрытия и пленки нитрида титана с обязательным дефицитом по азоту [8]. По изучению особенностей

синтеза и свойств, покрытия нитрида титана являются мировым лидером по числу публикаций среди всех ТФВ. Самым привлекательным свойством наноструктурного нитрида титана является его высокая твердость.

В историческом аспекте стоит упомянуть, что первая промышленная технология синтеза высокотвердых покрытий нитрида титана вакуумно-дуговым осаждением была разработана в 70-х годах прошлого столетия в СССР [9]. Организацией осуществившей эту разработку стал Национальный научный центр «Харьковский физико-технический институт» [10].

Трудовая биография покрытий нитрида титана началась с упрочнения поверхности металлорежущего инструмента. Она же положила начало новой научно-технической революции в обработке металлов резанием [11]. Понятие «инструмент с покрытием» у всех производителей ассоциируется с золотистым цветом покрытий нитрида титана, осажденного на поверхность режущего инструмента. Впечатляющая твердость покрытий нитрида титана на уровне 69 ГПа была уже достигнута к концу 80-х годов [12]. Безудержное заполнение нитридом титана рынка упрочняющих покрытий казалось ничто не остановит. Однако ограничивающим фактором для полномасштабного использования этих покрытий, в качестве упрочняющих, оказалась низкая стойкость против окисления атмосферным кислородом.

Окисление идет по реакции:



с выделением газообразного азота [13].

Режущая кромка инструмента в процессе резания металла может нагреваться до температур, достаточных для окислительного износа нитрида титана. Для борьбы с этим явлением было предложено легировать эти покрытия алюминием (Рисунок 1). Положительный эффект был достигнут. По этой причине покрытия нитрида титаналюминия (Ti,Al)N [14] стали первой коммерциализированной альтернативой, ставшим уже «классикой», покрытиям нитрида титана.




Рисунок 1. Содержание азота (N) и кислорода (O) в покрытиях TiN и (Ti,Al)N, прошедших отжиг при различных температурах. Данные, соответствующие 25 °C относятся к свежесозажденным покрытиям, не прошедшим термообработку [15].

Был также обнаружен прирост твердости и снижение коэффициента трения при легировании покрытия нитрида титана углеродом Ti(C,N) [16]. Покрытия карбонитрида титана также как альтернативные нитриду титана стали занимать свою рыночную нишу.

За последующие двадцать пять лет были синтезированы покрытия на основе других переходных металлов: нитрид хрома (CrN) [17], нитрид циркония [18], нитрид ванадия [19], нитрид ниобия [20] и др. Массовое применение таких монослойных покрытий выделило их в категорию универсальных. Несмотря на ограниченный перечень используемых универсальных высокотвердых покрытий, в промышленности, в условиях массового производства инструментов, подобная ситуация устраивала всех участников рынка. Десятки компаний во всем мире осваивали производство однотипного вакуумно-дугового оборудования для нанесения упрочняющих покрытий нитрида титана. Впечатляющие партии различных типов инструментов упрочнялись покрытиями на многих тысячах таких установок и вполне успешно реализовывались на рынке (Рисунок 2).




Рисунок 2. Доли потребления универсальных упрочняющих монослойных PVD-покрытий на инструментах в США [21].

Таким образом, до 1990 г. было только одно по-настоящему коммерческое упрочняющее монослойное PVD-покрытие – нитрид титана. По оси абсцисс (Рисунок 2) показаны года, в течение которых промышленностью США были освоены также альтернативные покрытия. Из графика видно снижение рыночной доли «родоначальника» упрочняющих покрытий TiN и рост семейства титано-алюминиевых нитридных покрытий. По другим странам таких сведений не обнаружено. Однако, в Китае, Индии, России, странах Европейского Союза рыночная доля упрочняющих покрытий нитрида титана, по-видимому, остается доминирующей, если судить по количеству фирм производящих установки для их синтеза.

Сложившаяся ситуация на рынке инструмента начала в корне меняться в первые годы нового тысячелетия. Потребители, накопившие большой опыт работы с высокотвердыми покрытиями осознали, что в ряде случаев лучше отказаться от универсальных покрытий и начать использовать покрытия, специально предназначенные для решения конкретных задач. Кроме того, машиностроение начало осваивать для синтеза упрочняющих покрытий способ магнетронного распыления [22]. Поэтому возник новый рыночный сегмент с использованием мелко- и среднесерийного инструмента со специальными упрочняющими покрытиями. Число таких покрытий взрывоподобно возросло за последние десять лет (см. Рисунок 3) [23].




Рисунок 3. Количество видов упрочняющих покрытий, доступных на инструментальном рынке в течение последних тридцати лет [23].

Новый класс покрытий – это сверхтвердые многокомпонентные наноструктурные покрытия, которые на сегодняшний день синтезируются на основе нитридов и карбидов титана, циркония, хрома, ванадия, молибдена, алюминия, кремния и др. [24].

Новые покрытия стали не только многокомпонентными и наноструктурными, но и многослойными, градиентными, нанослоистыми, нанокompозитными и др. [25 – 27]. Ввод в промышленный оборот большого числа новых видов покрытий повлекло за собой интенсивные технологические исследования в системах покрытие-инструмент. Поэтому, на сегодняшний день не по всем вопросам и явлениям достигнуто понимание на должном научном уровне. В первую очередь это связано с тем, что процессы механической обработки сами по себе достаточно сложны. В этой связи идет накопление большого объема эмпирической информации при сильном отставании фундаментальных исследований в этой области [28].

Наноструктурные покрытия [27, 29] можно качественно охарактеризовать следующим образом. Наноструктура считается одним из фазовых состояний твердого тела, наряду с аморфным, крупнозернистым кристаллическим и монокристаллическим. Наноструктурные покрытия не являются просто поликристаллическими покрытиями с ультрадисперсными размерами зерен. Свойства наноструктурных покрытий отличаются от свойств микрокристаллических покрытий такого же состава. Межзеренные границы нанокристаллической структуры являются двумерными дефектами этой структуры. Плотность границ может достигать 10^{19} см^{-3} [30, 31]. Именно высокая плотность межзеренных границ трансформирует микрокристаллическую структуру в новый тип структуры – наноструктуру. Чтобы получить наноструктурное состояние (средний размер зерен, толщина слоев и т.д.) размерность структурных элементов должна находиться в наномасштабном диапазоне (менее 100 нм) [32, 33]. Исходя из геометрических размеров, согласно новому определению, Еврокомиссия рекомендует [34] употреблять приставку «нано» применительно к материалам (естественного и искусственного происхождения), которые содержат частицы в свободном виде, в виде групп или агломератов (то есть, когда частицы связаны неким сторонним материалом), как минимум 50 %, из которых имеет один из линейных размеров в пределах от 1 до 100 нм. Геометрический размер частиц не несет никакой физической или химической нагрузки без привязки к конкретному материалу.

Переход из микрокристаллического состояния в наноструктурное состояние пока не считают фазовым переходом. Размерные эффекты на всех свойствах проявляются постепенно и постепенно нарастают по мере уменьшения размера зерен в покрытиях. Однако все без исключения экспериментальные исследования выполнены на покрытиях со значительной дисперсией размеров зерен. Вполне естественно предположить, что дисперсия размеров зерен должна размывать фазовый переход, если таковой имеется. Эксперименты, по выявлению размерного эффекта связанного с фазовым переходом в тугоплавких фазах внедрения, которые можно было провести на покрытиях одинакового химического, но разного гранулометрического состава в ближайшей перспективе не ожидается, из-за невозможности их синтеза [35].

Структурный элемент многослойного или нанослоистого покрытия состоит из чередующихся слоев в пределах наномасштабной толщины каждого слоя [33]. Толщина слоев каждого из двух материалов не превышает нескольких десятков нанометров. Как правило, такие нанослойные композиты являются двухфазными на основе бинарных нитридов или карбидов. Хотя эти системы могут быть и многокомпонентными.

Наибольшие успехи достигнуты в области синтеза нанокompозитных упрочняющих покрытий. Обширней всего исследованы сверхтвердые нанокompозиты системы $nc\text{-TiN} / a\text{-Si}_3\text{N}_4$ (где «nc» – означает нанокристаллический, «a» – рентгеноструктурно-аморфный). Впервые до промышленного применения эти покрытия довела компания Hitachi Tool Engineering, Ltd [28]. Она использовала для этих целей специальную вакуумно-дуговую установку с планарными катодами. Ряд свойств нанокompозитов этой системы, в частности стойкость к окислению, были улучшены путем легирования алюминием. Промышленностью начинают осваиваться покрытия элементного и фазового состава соответствующего $nc\text{-(Ti}_{1-x}\text{Al}_x\text{)N} / a\text{-Si}_3\text{N}_4$ [28, 36].

Произошедшие изменения на рынке упрочняющих покрытий несколько сузили сферу использования нитрида титана как самостоятельного материала. Сами исследователи, а также многочисленные эксперты стали относить эти покрытия к категории «старомодных» [37]. В этом мнении есть доля истины, если учитывать рыночные перспективы покрытий нитрида титана только применительно к режущему инструменту.

Однако переход на наноструктурный уровень организации материалов [38, 39] дал толчок к развитию исследований универсальных монослойных (TiCN, TiAlN, AlTiN, CrN и др. покрытий) и уже широко распространенных покрытий нитрида титана [38]. В первую очередь отметим технологию нового поколения разработанную в ННЦ ХФТИ – «НИТТИН»-технология на основе пульсирующей плазмы [40]. Эта технология позволяет синтезировать сверхтвердые наноструктурные покрытия кубического нитрида титана сильно нестехиометрического состава $nc\text{-TiN}_y\text{V}_{1-y}$ (где «nc» – нанокристаллическое состояние, V – структурная вакансия, y – содержание азота, 1 – y – концентрация структурных вакансий в подрешетке азота) [41]. Наноструктурные сверхтвердые покрытия нестехиометрического нитрида титана можно уже рассматривать как покрытия специального типа для эксплуатации при температурах ниже температуры отпуска большинства марок конструкционных сталей. Они имеют безальтернативную перспективу, например, для упрочнения инструмента холодной штамповки в силу своей экономичности по сравнению с другими видами покрытий. Это стабильная рыночная ниша, в которой упрочняющие покрытия нитрида титана, сохранят свое присутствие.

Другое мощное направление – использование наноструктурного нитрида титана в нанокompозитных (nc-TiN / a-Si₃N₄) и нанослоистых (TiN / Ti, TiN / TiAlN, TiN / CrN и др.) покрытиях в качестве структурных составляющих. Таким образом, можно утверждать о возрастающей роли и значении нитрида титана в наноструктурном материаловедении упрочняющих сверхтвердых покрытий.

Кроме высокой твердости нитрид титана в виде монослойных покрытий обладает еще целым набором заслуживающих внимание свойств, которые проявляются в нем комбинированно. Поэтому его наноструктурные пленки и покрытия демонстрируют полифункциональные свойства. Конкурентов в этой нише у наноструктурного нитрида титана практически нет. Следовательно, рыночные перспективы наноструктурных покрытий и пленок нитрида титана представляются весьма оптимистическими, если подходить к их оценке с учетом выявленных возможностей.

Ссылки

1. А. И. Гусев Нестехиометрия, беспорядок, ближний и дальний порядок в твердом теле. 2007, Москва: ФИЗМАТЛИТ, 856 с.
2. А. И. Гусев, А. А. Ремпель. Нестехиометрия, беспорядок и порядок в твердом теле. 2001, Екатеринбург: УрО РАН, 580 с.
3. И. В. Шишковский, С. Е. Закиев, Л. П. Холпанов Послойный синтез объемных изделий из нитрида титана методом СЛС. Физика и химия обработки материалов. 2005, 3, 71-78.
4. Л. А. Шиганова, Ю. В. Титова, Г. В. Бичуров. Механизм образования нано- и микропорошка нитрида титана в режиме СВС-АЗ в системе «гексафтортитанат аммония – азид натрия». Высокие технологии в машиностроении (Материалы Всероссийской научно-технической интернет-конференции с международным участием). 2011, Самара: СГТУ. <http://www.konferencia-isap.narod.ru/>
5. В. М. Шулаев, М. А. Запорожец, А. Л. Васильев. Высокорастворяющая просвечивающая и сканирующая электронная микроскопия наноструктурных покрытий нестехиометрического кубического нитрида титана. Вопросы атомной науки и техники. Серия: Вакуум, чистые материалы, сверхпроводники, 2011. 6 (76), 200-206.
6. Л. Тот. Карбиды и нитриды переходных металлов. 1974. Москва: Мир, 296 с.
7. Х. Холлек. Двойные и тройные карбидные и нитридные системы переходных металлов. 1988, Москва: Металлургия, 319 с.
8. Г. П. Фетисов, М. Г. Карпман, Р. Х. Сайдахмедов. Ионно-плазменные нестехиометрические покрытия на основе нитридов и карбидов переходных металлов. 2011, Москва: МАИ-ПРИНТ, 220 с.
9. R. L. Vohman. Vacuum arc deposition: Early history and recent developments. IEEE Trans. Plasma Sci. 2001, 29. 5-I, 759-761.
10. В. Г. Падалка, В. Т. Толок. Методы плазменной технологии высоких энергий. Атомная энергия, 1978, 44, 5, 476-478.
11. R. L. Hatschek. Coatings: revolution in HSS tools. American Machinist, 1983, Spec. Rep. 752, 129-144.

12. V. Valvoda, R. Cerny, J. Kuzel. Dependence of microstructure of TiN coatings on their thickness. *Thin Solid Films*, 1988, 158, 225-232.
13. W.-G. Kim, H.-Ch. Choe. Effects of TiN coating on the corrosion of nanostructured Ti-30Ta-xZr alloys for dental implants. *Appl. Surf. Sci.* 2012, 258, 1929-1934.
14. W. D. Munz. Titanium aluminum nitride films: A new alternative to TiN coatings. *J. Vac. Sci. Technol. A: Vac. Surf. Films*, 1986, 4, 6, 2717-2725.
15. Y. C. Chim, X. Z. Ding, X. T. Zeng, S. Zhang. Oxidation resistance of TiN, CrN, TiAlN and CrAlN coatings deposited by lateral rotating cathode arc. *SIMTech Tech. Rep.*, 2010, 11, 2, 70-75.
16. B. E. Jacobson. Microstructure and hardness of Ti(CN) coatings steel prepared by the activated reactive evaporation technique. *Thin solid films*, 1984, 118, 285-292.
17. R. Rebole, A. Martínez, R. Rodriguez. Microstructural and tribological investigations of CrN coated, wet-stripped and recoated functional substrates used for cutting and forming tools. *Thin Solid Films*, 2004, 469/470, 466- 471.
18. J. Menghani, K. B. Pai, M. K. Totlani, N. Jalgoankar. Corrosion and Wear Behavior of ZrN Thin Films. *Proc. World Cong. Eng.* 2010, III.
http://www.iaeng.org/publication/WCE2010/WCE2010_pp2454-457.pdf. (23.06.2012)
19. H. Holleck Material selection for hard coatings. *J. Vac. Sci. Technol. A*, 1986, 4, 6, 2661-2669.
20. I. L. Singer, R. N. Bolster, S. A. Wolf, E. F. Skelton, R. A. Jeffries. Abrasion resistance, microhardness and microstructures of single-phase niobium nitride films. *Thin Solid Films*, 1983, 107, 207-215.
21. D. T. Quinto, F. Teeter. Challenging applications. Will PVD coatings replace CVD in all applications? *Cutting Tool Eng.*, 2007, 59, 10. <http://www.readoz.com/>
22. P. J. Kelly, R. D. Arnell. Magnetron sputtering: a review of recent developments and applications. *Vacuum*, 2000, 56, 159-172.
23. T. Cselle. Dedication – Integration – Open Source. *Werkzeug Technik*, 2011, 118, 2-7.
24. S. Veprek The search for novel, superhard materials. *J. Vac. Sci. Technol. A*, 1999, 17, 5, 2401-2420.
25. L. A. Dobrozanski, K. Golombek, J. Mikula, D. Pakula. Multilayer and gradient PVD coatings on the sintered tool materials. *J. Achiev. Mater. Manuf.*, 2008, 31, 2, 170-190.
26. Д. А. Карпов, В. Н. Литуновский. Многослойные наноструктуры и нанокompозиты – новое поколение покрытий для модификации поверхностных свойств материалов. Санкт Перербург.: ФГУП «НИИЭФА им. Д.В. Ефремова», 2008, 93 с.
27. Р. А. Андриевский. Пленки как характерные консолидированные наноматериалы. *Нанострукт. Материаловед.* 2006, 1, 41-49.
28. S. Veprek, M. J. G. Veprek-Heijman. Industrial applications of superhard nanocomposite coatings. *Surf. Coat. Technol.*, 2008, 202, 5063-5073.
29. Ред. А. Кавалейро, Д. де Хоссон. Наноструктурные покрытия. 2011, Москва: Техносфера, 752 с.
30. H. Gleiter. Nanocrystalline materials. *Prog. Mater. Sci.*, 1989, 33, 223-315.
31. А. И. Гусев. Наноматериалы, наноструктуры, нанотехнологии. 2009, Москва: Физматлит, 416 с.
32. В. М. Шулаев. Инженерия неорганических наноматериалов. Мир техники и технологий, 2007, 2, 63, 60-62.

33. Е. Шейнман. Сверхтвердые покрытия из нанокompозитов. Обзор зарубежной литературы. *Металловедение и термическая обработка металлов*, 2008, 12, 642, 41-47.
34. Commission Recommendation of 18 October 2011 on the definition of nanomaterial. Text with EEA relevance. *Official J.*, 2011, L275, 38-40.
35. А. И. Гусев, А. А. Ремпель. *Нанокристаллические материалы*. 2001, Москва: Физматлит, 224 с.
36. В. М. Шулаев, Д. А. Листопад Тенденции развития вакуумно-дуговых установок для синтеза сверхтвердых наноструктурных покрытий для упрочнения инструмента. *Оборудование и инструмент для профессионалов*, 2012, 2, 146, 42-43.
37. X. Yu, M. Hua, C. B. Wang, Y. Liu, D. Y. Ya, S. L. Ma. Enhancing the hardness of arc-ion-plated nanocrystallite TiN films. *Nanotechnology*, 2007, 18, 1-5.
38. H. Gleiter Nanostructured materials: basic concepts and microstructure. *Acta Mater.*, 2000, 48, 1-29.
39. Р. А. Андриевский. *Основы наноструктурного материаловедения. Возможности и проблемы*. 2012, Москва: БИНОМ. Лаборатория знаний, 252 с.
40. В. М. Шулаев «НИТТИН» – Технология нового поколения. *Мир техники и технологий*, 2012, 1, 56-58.
41. В. М. Шулаев. Сверхтвердые наноструктурные покрытия. *Промышленность Focus +*, 2012, 1, 48-49.

სპილენძის და თუთიის აკუმულაცია
ხორბლისა (*Tritium*) და ქერის (*Hordeum*) მიერ

ა. რჩეულიშვილი¹, ე. გინტური¹, ო. რჩეულიშვილი^{1,2},
ლ. ტულუში¹, ნ. რჩეულიშვილი³, ე. დელალუტაშვილი¹

¹ ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი
ო. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
archeuli@gmail.com

² ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

³ ო. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

მიღებულია 2014 წლის 12 ივლისს

შესავალი

ბუნებრივი გარემო მუდმივად ბინძურდება სხვადასხვა ნივთიერებებით, მათ შორის, მძიმე მეტალებით. მძიმე მეტალების შემცველობის ზრდა გარემომცველ გარემოში იწვევს არა მარტო ნიადაგის დაბინძურებას, არამედ – მცენარეული ორგანიზმების დაზიანებასაც, რაც გავლენას ახდენს ბუნებრივი წარმოშობის პროდუქტებსა და, შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობაზე. სწორედ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მცენარეების საშუალებით ხვდებიან მძიმე მეტალები ნიადაგიდან ადამიანის ორგანიზმში [1,2]. დღეისათვის მეტად აქტუალურია მეტალური ნაწილაკების გამოყენებით საკვები ნივთიერებების უსაფრთხოდ მიწოდება, რაც გულისხმობს მიკროელემენტების აკუმულაციის პროცესის შესწავლას ბუნებრივი ობიექტების, პირველ რიგში საკვები მცენარეების მიერ. ქიმიური ელემენტები, რომლებიც მცენარეული ორგანიზმების შემადგენლობაში შედიან, მონაწილეობას ღებულობენ ნივთიერებათა ცვლაში და გააჩნიათ გარკვეული ბიოლოგიური როლი. გარდა მათი მონაწილეობისა მცენარეთა ზრდასა და განვითარებაში, დადგენილია მათი სპეციფიკური გავლენაც მთელ რიგ ფიზიოლოგიურ პროცესებზე, მათ შორის, ფოტოსინთეზზე. მიკროელემენტებს ხსნარებში გააჩნიათ კატალიზური აქტივობა. მძიმე მეტალების შემცველობა ნიადაგში, როგორც მრავალი კვლევის საფუძველზეა დადგენილი, დამოკიდებულია საწყისი მთის ჯიშების შემადგენლობაზე, რომლის სხვადასხვაობა დაკავშირებულია ტერიტორიის განვითარების რთულ გეოლოგიურ ისტორიასთან და დამოკიდებულია ჰიპერგენური გარდაქმნების პირობებზე. სპილენძი, ერთ-ერთი შეუცვლელი ელემენტია, რომელიც აუცილებელია მცენარეული ორგანიზმების ცხოველქმედებისათვის. ამასთან, ცნობილია, რომ სპილენძი ხელს უწყობს ქლოროფილის სტაბილურობას და მას დაზიანებისაგან იცავს. წყალში ხსნადი სპილენძის აკუმულაცია მცენარის მიერ ძირითადად განპირობებულია მოცემულ ადგილას მცენარისათვის არსებული სასიცოცხლო პირობებით. ნიადაგში სპილენძი ითვლება სუსტი მიგრაციის მქონე ელემენტად. თუთია მჟავე ნიადაგში უფრო მოძრავია, ამიტომაც მჟავე ნიადაგში ხშირად დაიკვირვება თუთიის დეფიციტი, მაშინ როდესაც ტუტე გარემოში თუთია ნაკლებად

მოდრავია. თუთიის შემცველი სასუქები წარმატებით გამოიყენება მთელი რიგი კულტურების, მათ შორის ხორბლის და ქერის მოსავლიანობის გაზრდისათვის. შრომაში [1] განხილულია თუთიის და სპილენძის შეთვისება მარცვლოვანი კულტურების მიერ, ხოლო შრომებში [3, 4] შესწავლილია თუთიის განაწილება ხორბლის კომპონენტებში. განსხვავება დაიკვირვება ⁶⁵Zn-ის განაწილებაში ხორბლის კომპონენტებს შორის [4]. კერძოდ, უდიდესი აკუმულაცია შეიმჩნევა ღეროებში. ექსპერიმენტებში, რომლებიც დანაწევრებულ ფესვებზე ჩატარდა ასევე აშკარად დაიკვირვება ინტენსიური აკუმულაცია ღეროებში და მისი ტრანსპორტი ფოთლებში.

ობიექტი და კვლევის მეთოდები

კვლევის ობიექტად აღებული იქნა ხორბალი დოლი (*Tritium*) და ქერი (*Hordeum*), რომელიც იზრდებოდა შავმიწიან ნიადაგზე. მძიმე მეტალებია თუთია და სპილენძი.

ნიადაგი ირწყვებოდა პერიოდულად. გაზრდილ მცენარეებს ვიღებდით ნიადაგიდან ~ 30 დღიანი ინტერვალით. ამოღებულ მცენარეებს ვრეცხავდით დისტილირებული წყლით და ვახდენდით მათ დანაწევრებას ცალკეულ ორგანოებად (ფოთოლი, ღერო და ფესვები). მიღებულ ნიმუშებს ვაშრობდით, მექანიკური საფქვავის საშუალებით ვახდენდით ნიმუშების დაქუცმაცებას, ვწონდით და ვათავსებდით სინჯარებში. სინჯარებში ვამატებდით კონცენტრირებულ აზოტმჟავას და ვაცხელებდით ჰომოგენური ხსნარის მიღებამდე. ჰომოგენიზირებულ ნიმუშებს ვაზავებდით ბიდისტილატით 10 მლ მოცულობამდე.

მეტალების შემცველობის ანალიზი განხორციელდა ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრის Analyst-900' (Perkin Elmer) გამოყენებით. მეტალების ეტალონური ხსნარები დამზადებული იყო Perkin Elmer-ის ფირმის ეტალონური დედა ხსნარისაგან (1 მგ / ლ). სპილენძის და თუთიის შემდეგი მარილები იქნა გამოყენებული: $CuSO_4 \cdot 5H_2O$, $ZnSO_4 - 5.1$ და 5.3 გ / ლ, შესაბამისად. ნიადაგი, რომელშიც შეყვანილ იქნა სპილენძი და თუთია, შეყვანამდე შეიცავდა სპილენძს და თუთიას შემდეგი რაოდენობით: 1.4 მგ / კგ სპილენძი და 28.6 მგ / კგ თუთია.

შედეგები და მათი განსჯა

ცხრილში 1 მოცემულია ნიადაგის აგროქიმიური მახასიათებლები ცდების ჩატარებამდე. ნიადაგის ყველა აგროქიმიური მახასიათებელი განსაზღვრული იქნა სტანდარტული მეთოდით [5, 6]. როგორც ცნობილია, ნიადაგში მძიმე მეტალების ფიქსაცია ერთ-ერთი საშუალებაა მათი აკუმულაციის შემცირებისა მცენარეებში. აღნიშნულიდან გამომდინარე განსაზღვრული იქნა მათი შემცველობა ნიადაგში. **ცხრილში 2** ნაჩვენებია მიკროელემენტების ფონური შემცველობა ნიადაგში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სპილენძის, თუთიის, ქრომის, ტყვიის, კადმიუმის, მარგანეცის შემცველობა შავმიწა ნიადაგისათვის მახასიათებელი ნორმის ცდომილების ფარგლებშია.

ნახაზზე 1 ნაჩვენებია თუთიის შემცველობა ხორბალსა და ქერში დათესვიდან გასული გარკვეული დროის შემდეგ მის ცალკეულ კომპონენტებში (ფესვებში, ღეროებში, ფოთლებში). როგორც ნახაზიდან ჩანს, ქერის შემთხვევაში თუთიის ყველაზე დიდი რაოდენობით აკუმულაცია დაიკვირვება ფესვებში ზრდის მთელი დროის განმავლობაში, გარდა 103-ე დღისა, როცა ღეროში თუთიის აკუმულაცია აჭარბებს მის


რაოდენობას ფესვებში. რაც შეეხება განსხვავებას ფოთლებსა და ღეროებს შორის ზრდის დინამიკა აჩვენებს ღეროებში მეტ რაოდენობას ფოთლებთან შედარებით. განსხვავებული სურათი დაიკვირვება ხორბლის შემთხვევაში. კერძოდ, დათესვიდან 26-ე დღეს მაქსიმალური რაოდენობით თუთია კონცენტრირებულია ფესვებსა და ღეროებში, 45-ე დღეს მაქსიმალური კონცენტრაცია აღინიშნება ფესვებში, ხოლო 69-ე დღეს ტენდენცია იცვლება. კერძოდ, აკუმულაციის მიხედვით შემდეგი დამოკიდებულება დაიკვირვება: ღერო > ფესვები > ფოთოლი (69-ე დღე), ფესვები > ღერო (103-ე დღე) და ფესვები > ღერო > ფოთოლი (124-ე დღე).

ცხრილი 1. ნიადაგის აგროქიმიური მახასიათებლები ცდების ჩატარებამდე.


საკვები ელემენტების შესატყვისი ფორმები, მგ / 100 გ			საერთო აზოტი, %	pH (H ₂ O)	შთანთქმული ფუძეები მგ. ექვ. / 100 გ		ჰუმუსი, %		კარბონატები CaCO ₃ , %
N	P ₂ O ₅	K ₂ O	N		Ca	Mg	Na		
4.6	5.8	233.3	0.4	7.6	26	7.0	0.1	8.0	10.4

ცხრილი 2. მიკროელემენტების ფონური შემცველობა ნიადაგში.

მიკროელემენტების შემცველობა ნიადაგში, მკგ / კგ						
Cr	Ni	Cd	Pb	Cu	Zn	Mn
0.28	–	0.1	1.73	1.40	28.6	31.3



(1)




(2)


ნახაზი 1. თუთიის შემცველობა ქერის (1) და ხორბლის (2) ცალკეულ კომპონენტებში ზრდის პროცესში (1 – ფესვი, 2 – ღერო, 3 – ფოთოლი).

ანალოგიურად, **ნახაზზე 2** ნაჩვენებია სპილენძის შემცველობა ხორბალსა და ქერში დათესვიდან გასული გარკვეული დროის შემდეგ მის ცალკეულ კომპონენტებში (ფესვებში, ღეროებში, ფოთლებში). როგორც ნახაზიდან ჩანს, სპილენძი ხორბალსა და ქერში მცენარის ზრდის მთელი პროცესის განმავლობაში ძირითადად აკუმულირდება ფესვებში. ხოლო 69-ე, 103-ე და 124-ე დღეს ფოთლებში და ღეროებში მათი კონცენტრაცია დაახლოებით ერთნაირია და თითქმის 10-ჯერ ნაკლებია ფესვებში აკუმულირებული სპილენძის კონცენტრაციაზე. ანალოგიური სურათი დაიკვირვება ქერის შემთხვევაშიც.

Accumulation of copper and zinc by wheat (*Tritium*) and barley (*Hordeum*).



(1)



(2)

ნახაზი 1. სპილენძის შემცველობა ქერის (1) და ხორბლის (2) ცალკეულ კომპონენტებში ზრდის პროცესში (1 – ფესვი, 2 – ღერო, 3 – ფოთოლი).

მოცემული კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ ფესვთა სისტემა, ღერო და ფოთლები შეიწოვენ გარკვეული რაოდენობით მეტალთა იონებს. როგორც თუთიის, ასევე სპილენძის ფოთლების მიერ აკუმულაციის გამო, მწვანე შეფერილობა შეიცვალა მოყვითალო-ყავისფერით. ამდენად, ქლოროფილის დარღვევამ გამოიწვია მცენარეებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროცესის ფოტოსინთეზის შეწყვეტა. როგორც ცნობილია, ფოთლებში არსებული სპილენძი ძირითადად ქლოროპლასტებშია კონცენტრირებული და შესაბამისად, მჭიდროდაა დაკავშირებული ფოტოსინთეზის პროცესთან.

ჩატარებული ექსპერიმენტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუთია და სპილენძი უარყოფით გავლენას ახდენენ მცენარის მდგომარეობაზე: შეიცვალა ზრდის სიმაღლე, ფესვთა სიგრძე, ფოთლის ზედაპირის ფართობი.

სამუშაო შესრულებული იქნა გრანტის GNSF / STCU 5635 ფარგლებში.

მითითებები

1. H. M. Conesa, J. A. Pérez-Chacón, R. Arnaldos, J. Moreno-Caselles, Á. Faz-Cano. *In situ* heavy metal accumulation in lettuce growing near a former mining waste disposal area: Implications for agricultural management. *Water, Air, and Soil Pollution*, 2010, 208, 1-4, 377-383.
2. D. A. Ruiz Diaz, R. G. Darmody, J. C. Marlin, G. A. Bollero, F. William Simmons. Trace metal bioaccumulation and plant growth on dredged river sediments and biosolids mixtures. *Water, Air, and Soil Pollution*, 2010, 206, 1-4, 321-333.
3. B. S. Haslett, R. J. Reid, Z. Rengel. Zinc Mmobility in wheat: Uptake and distribution of zinc applied to leaves or roots. *Ann. Bot.*, 2001, 87, 379-386.
4. J. N. Pearson, Z. Rengel. Uptake and distribution of ⁶⁵Zn and ⁵⁴Mn in wheat grown at sufficient and deficient levels of Zn and Mn. I. During vegetative growth. *J. Exp. Bot. B*, 1995, 46, 833-839.
5. Е. В. Аринушкина. Руководство по химическому анализу почв. 1970, Москва: МГУ.
6. G. S. Fomin, A. G. Fomina. *Soil – International Standards of Quality Control and Environmental Security*. 2001.

ვერცხლის, კადმიუმის და ვერცხლისწყლის
აკუმულაციის ზოგიერთი თავისებურების
შესწავლა წყალმცენარის (*Spirulina platensis*)
უჯრედული ზრდის დინამიკაში

ნ. კუჭავა

ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი
ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e.kuchava@mail.ru

მიღებულია 2014 წლის 19 ივლისს

ბიოლოგიასა და მედიცინაში თანამედროვე გამოკვლევების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობაში მყოფი ქიმიური ელემენტების ბიოლოგიური როლის დადგენა, რასაც ხელს უწყობს ბიოსფეროში მიკრო- და მაკროელემენტების მიგრაციის მექანიზმის, მათი გავრცელებისა და ქცევის შესწავლა. აღნიშნული ფაქტორების გამო იცვლება ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობა და ფიზიოლოგიური მდგომარეობა. ქიმიური ელემენტების როლზე მეტყველებს ის საინტერესო ფაქტი, რომ არაერთი სამკურნალო პრეპარატი შეიცავს ზოგიერთ მათგანს: Al, Ag, Zn, Ni, Co, Cu, Bi, Cd, Au, Mg, Mn, Se, Sr, F, Li, P, S, Mo [1]. ცოცხალი სისტემების ერთერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს მცენარეთა სამყარო, კერძოდ, წყალმცენარეები.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მონაცემები თანამედროვე ბიოტექნოლოგიის ერთერთი საინტერესო ობიექტში – ლურჯ-მწვანე წყალმცენარეში *Spirulina platensis* (*S. platensis*) ქიმიურ ელემენტთა შემცველობისა და მის ზრდაზე გარემო პირობების ცვლილებით გარკვეული ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის შესახებ. შრომაში [2] შესწავლილ იქნა ტემპერატურის ზეგავლენა კვების პროდუქტად გამოსაყენებელი წყალმცენარეების *S. platensis*-ისა და *S. maxima*-ის ზრდაზე. ნაჩვენები იქნა, რომ ტემპერატურის გაზრდისას შემცირდა ცილას შემცველობა ნიმუშში. შრომაში [3], სხვა საკითხებთან ერთად, შესწავლილ იქნა ჩადის ტბის წყალში ბუნებრივად გაზრდილ *S. platensis*-ის ბიომასაში შემდეგი მაკრო- და მიკროელემენტების შემცველობა: Ca, Fe, Mn, Co, Cu, K, Hg, Na, Zn, Cl, Ni, Cr. შრომაში [4] შესრულებულია ელ-ხადრას ტბის წყალში ასევე ბუნებრივად გაზრდილი *S. platensis*-ის ნიმუშების ბიოქიმიური ანალიზი. ამინომჟავებთან და ცხიმებთან ერთად შესწავლილ იქნა ისეთი ქიმიური ელემენტების შემცველობა, როგორცაა: Mg, Ca, Mn, Fe, Zn, Na, Se, K, Cu, Hg, Ni, Cr, Cd, Co. უზბეკეთში გამოზრდილი *S. platensis*-ის ბიომასის ნიმუშებში წყალმცენარის ზრდის პროცესში შესწავლილ იქნა ლიპიდების და ვიტამინების შემცველობა, აგრეთვე, მისი ქიმიური შემადგენლობა [5]. შრომაში [6] შესწავლილ იქნა ვერცხლის იონების ზეგავლენა *S. platensis*-ის ბიომასის ზრდაზე, როცა მაქსიმალური ტემპერატურა იყო 32 °C და pH = 9.0. შრომაში [7] განხილულია *S. platensis*-ის უნარი მძიმე ქიმიური ელემენტების ათვისებისა, რათა ის გამოყენებულ იქნეს ჩამდინარე წყლების გასაწმენდად Cu, Hg და Pb-საგან. შრომაში [8] შესწავლილ იქნა ლიოფილურად გამომშრალ *S. platensis*-ის ბიომასის ნიმუშებში Cu, Mn, Zn, Mg და Na შემცველობა


ინსტრუმენტალური ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის მეთოდის საშუალებით. ამავე სამუშაოში შესწავლილ იქნა, აგრეთვე, ზემოთ აღნიშნული წყალმცენარის უჯრედული ზრდის პროცესში მკვებავი Zarrouk-ის გარემოში რამოდენიმე ბიოგენური (Co, Cu, Zn, Ni, Mn, Fe) და ტოქსიკური ელემენტის (Ag, Cd, Cr, Pb) აკუმულირების უნარი, მათი გარკვეული რაოდენობით ჩატვირთვამდე და ერთდროული ჩატვირთვისას. ამავე დროს, მოკლედ იქნა განხილული საკითხი *S. platensis*-ის მიერ ვერცხლისა და ოქროს ნანონაწოლაკების წარმოქმნის უნარის შესახებ [9, 10].

შრომაში [11] ყურადღება იქნა გამახვილებული მკვებავი Zarrouk-ის გარემოში წყალმცენარის *S. platensis*-ის უჯრედული ზრდის დინამიკაში ქიმიური ელემენტების: სპილენძის (Cu), თუთიის (Zn) და ნიკელის (Ni) ქცევის თავისებურებებზე მათი ცალკე-ცალკე ჩატვირთვის დროს, როცა შერჩეულ იყო თითოეული ქიმიური ელემენტის რაოდენობა.

წინამდებარე სამუშაოს მიზანია შესწავლილ იქნეს ვერცხლის (Ag), კადმიუმის (Cd) და ვერცხლისწყლის (Hg) აკუმულაციის თავისებურებანი მკვებავ Zarrouk გარემოში *S. platensis*-ის უჯრედული ზრდის დინამიკაში, ზემოთ აღნიშნული ქიმიური ელემენტების ცალკე-ცალკე ჩატვირთვის დროს, ამავე დროს, დაცული უნდა იყოს თითოეული ქიმიური ელემენტის შერჩეული რაოდენობა. ყველა საკვლევე ქიმიური ელემენტის შემთხვევაში წყალმცენარის ბიომასის ცვლილების შესწავლასთან ერთად შესწავლილ იქნა მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება.


განვიხილოთ საკვლევ ელემენტთა მოკლე დახასიათება, ცალკეული ექსპერიმენტების მსვლელობა და მიღებული შედეგები.

ერთერთი საკვლევე ელემენტი ვერცხლი აღმოჩენილია სხვადასხვა ბიოორგანიზმის შემადგენლობაში, მაგრამ არაფერია ცნობილი მისი ფიზიოლოგიური როლის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ის ახდენს გავლენას ფერმენტულ სისტემებზე. პრაქტიკაში ვერცხლი გამოიყენება, როგორც ანტისეპტიკური საშუალება. რადიოაქტიური ინდიკატორების საშუალებით აღმოჩენილია მისი შესაძლებლობა ადამიანის სიმსივნის ლოკალიზაციის დადგენისათვის. ვერცხლის სხვადასხვა ნაერთიდან ჩვენი ექსპერიმენტისათვის შერჩეულ იქნა ვერცხლის ნიტრატი $AgNO_3$. *S. platensis*-ის საწყისი ბიომასა იყო 0.22 გ / ლ, ხოლო pH – 8.27.



ნახაზი 1. *Spirulina platensis*-ის ბიომასის ცვლილება მკვებავ გარემოში ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.

ნახაზზე 1 გამოსახულია *S. platensis*-ის ბიომასის ცვლილება მისი უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას. მრუდის ნომერს შეესაბამება მკვებავ გარემოში ჩატვირთული ვერცხლის შემდეგი რაოდენობა (მკგ / ლ): 1 – 8, 2 – 0.13, 3 – კონტროლი (ვერცხლი არ არის ჩატვირთული), 4 – 40, 5 – 3.11. როგორც **ნახაზიდან 1** ჩანს, ბიომასათა მნიშვნელობა 1-ლ, მე-2 და მე-5 დღეს, მკვებავ გარემოში ჩატვირთული ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობის მიუხედავად, ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. კონტროლის შემთხვევაში (მრუდი 3) ბიომასის მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნა ვერცხლის ჩატვირთვიდან მე-5 დღეს, რაც თითქმის დაემთხვა ბიომასის მნიშვნელობას მაშინ, როცა მკვებავ გარემოში ჩატვირთულ იყო ვერცხლის მაქსიმალური რაოდენობა (40 მკგ / ლ). მკვებავ გარემოში ჩატვირთული ვერცხლის ყველაზე მცირე რაოდენობამ (0.13 მკგ / ლ, მრუდი 2), გამოიწვია ბიომასის შესამჩნევი ზრდა ჩატვირთვიდან ასევე მე-5 დღეს. ბიომასათა რაოდენობებს შორის განსხვავება თვალნათლივ არის შესამჩნევი მე-4 და მე-6 დღეებში.




ნახაზი 2. მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება მასში ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.

ნახაზზე 2 წარმოდგენილია მკვებავი Zarrouk გარემოს pH-ის ცვლილება მასში ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობის ჩატვირთვისას ექსპერიმენტის საწყისი 6 დღის განმავლობაში. მრუდის ნომერს შეესაბამება ჩატვირთული ვერცხლის შემდეგი რაოდენობა (მკგ / ლ): 1 – 3.11, 2 – 40, 3 – 8, 4 – 0.13, 5 – კონტროლი. როგორც ჩანს **ნახაზიდან 2**, მკვებავ გარემოში ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობის ჩატვირთვის პირველ დღეს გარემოს ყველაზე მცირე pH (9.29) ახასიათებს მაშინ, როცა ჩატვირთულია 8 მკგ / ლ ვერცხლი (მრუდი 3). ჩატვირთვის პირველ დღეს მკვებავი გარემოს pH-ის მნიშვნელობები ახლოსაა ერთმანეთთან, ხოლო მათ შორის განსხვავება შესამჩნევია მე-4 დღეს. მე-6 დღეს კი განსხვავება მნიშვნელოვანია. რაც შეეხება კონტროლს, მისთვის pH-ის მნიშვნელობა მე-5 და მე-6 დღეს თითქმის ერთნაირია.


წინამდებარე სამუშაოში განხილული შემდეგი ქიმიური ელემენტი არის კადმიუმი. ცნობები ცოცხალ სისტემებში მისი რაოდენობისა და ფიზიოლოგიური როლის შესახებ იშვიათად მოიპოვება. კადმიუმის თაობაზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ ზოგი მოლუსკი ახდენს მის დაგროვებას. აღსანიშნავია, რომ კადმიუმის ნაერთებს ახასიათებს მაღალი ტოქსიკურობა და კანცეროგენული მოქმედება.

ნახაზზე 3 წარმოდგენილია *S. Platensis*-ის ბიომასის ცვლილება მკვებავ Zarrouk-ის გარემოში კადმიუმის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას

ექსპერიმენტის საწყისი 6 დღის განმავლობაში. გამოყენებულ იქნა კადმიუმის ქლორიდი $CdCl_2 \cdot 2.15H_2O$. წყალმცენარის საწყისი ბიომასა იყო 0.0084 გ/ლ, ხოლო მკვებავი გარემოს pH – 8. მრუდის ნომერს შეესაბამება მკვებავ გარემოში ჩატვირთული კადმიუმის შემდეგი რაოდენობა (მგ/ლ): 1 – 40, 2 – 5, 3 – 10, 4 – კონტროლი, 5 – 1. როგორც **ნახაზიდან 3** ჩანს, ექსპერიმენტის 1-ლი დღის მონაცემები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს (მრუდები 1, 2, 3). ასეთივე მდგომარეობაა მრუდებისათვისაც 4 და 5. მე-3 დღიდან იწყება Cd-ის სხვადასხვა რაოდენობით გამოწვეული განსხვავება *S. Platensis*-ის ბიომასებს შორის, რომელიც მაქსიმუმს აღწევს ექსპერიმენტის მე-6 დღეს.



ნახაზი 3. *Spirulina platensis*-ის ბიომასის ცვლილება მკვებავ გარემოში კადმიუმის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.




ნახაზი 4. მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება მასში კადმიუმის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.


ნახაზზე 4 წარმოდგენილია მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება მასში კადმიუმის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას ექსპერიმენტის საწყისი 6 დღის განმავლობაში. მრუდის ნომერს შეესაბამება ჩატვირთული კადმიუმის შემდეგი რაოდენობა (მგ/ლ): 1 – კონტროლი, 2 – 10, 3 – 40, 4 – 5, 5 – 1. როგორც **ნახაზიდან 4** ჩანს, 1-ლ დღეს ჩატვირთული კადმიუმის სხვადასხვა რაოდენობის დროს pH-ის მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა, მათგან გამოირჩევა მხოლოდ კონტროლი. ამ შემთხვევაში pH თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს ჩატვირთვის მე-4 დღეს. დანარჩენი

მნიშვნელობებიდან მკვეთრად განსხვავდება pH-ის მნიშვნელობა მაშინ, როცა მკვებავ გარემოში ჩატვირთულია 40 მგ/ლ კადმიუმი (მრუდი 3). ამ შემთხვევაში pH-ის მნიშვნელობა მაქსიმალურია მე-6 დღეს.

წინამდებარე სამუშაოში განხილული ბოლო ქიმიური ელემენტი არის ვერცხლისწყალი. ის ნაპოვნია ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობაში, მაგრამ მისი ფიზიოლოგიური როლის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მისი შენაერთები ხასიათდება მაღალი ტოქსიკურობით. განსაკუთრებულია ვერცხლისწყლის როლი გარემოს დაჭუჭყიანების საქმეში. ადამიანის ორგანიზმში ვერცხლისწყალი, როგორც ზოგიერთ სამედიცინო ლიტერატურაშია ნათქვამი, იწვევს ნერვული სისტემის მუშაობისა და მოძრაობის აპარატის დარღვევას.



ნახაზი 5. *Spirulina platensis*-ის ბიომასის ცვლილება მკვებავ გარემოში ვერცხლისწყლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.



ნახაზი 6. მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება მასში ვერცხლისწყლის სხვადასხვა რაოდენობის ჩატვირთვისას საწყისი 6 დღის განმავლობაში.

ნახაზი 5 წარმოდგენილია *S. Platensis*-ის ბიომასის ცვლილება მკვებავ გარემოში ვერცხლისწყლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას ექსპერიმენტის საწყისი 6 დღის განმავლობაში. გამოყენებულ იქნა ვერცხლისწყლის ნაერთი $Hg(NO_3)_2$. წყალმცენარის ბიომასის საწყისი რაოდენობა იყო 260 მგ/ლ, ხოლო pH – 8.67. მრუდის ნომერს შეესაბამება ჩატვირთული ვერცხლისწყლის შემდეგი რაოდენობა (მკგ/ლ): 1 – 5,

2 – 0.1, 3 – 50, 4 – 1, 5 – კონტროლი. როგორც ნახაზიდან 5 ჩანს, ექსპერიმენტის 1-ლ, მე-2 და მე-4 დღეს ჩატვირთული ვერცხლისწყლის მნიშვნელობათა შორის განსხვავების მიუხედავად, წყალმცენარის ბიომასათა მნიშვნელობები ახლოსაა ერთმანეთთან. ბიომასათა შორის განსხვავება შესამჩნევია მე-3, მე-5 და მე-6 დღეს.

ნახაზზე 6 წარმოდგენილია მკვებავი გარემოს pH-ის ცვლილება მკვებავ გარემოში ვერცხლისწყლის სხვადასხვა რაოდენობით ჩატვირთვისას ექსპერიმენტის საწყისი 6 დღის განმავლობაში. pH-ის მნიშვნელობები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ნახაზზე მრუდების ნომრების აღნიშვნა გაჭირდა, ამიტომ ნომრების აღნიშვნა გაკეთებულია 4 დღის მიხედვით. მრუდის ნომერს შეესაბამება მკვებავ გარემოში ჩატვირთული ვერცხლისწყლის შემდეგი რაოდენობა (მკგ / ლ): 1 – კონტროლი, 2 – 50, 3 – 5, 4 – 0.1, 5 – 1. გარემოს pH-ის ყველა მნიშვნელობა გაზრდილია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასში ჩატვირთულია 0.1 მკგ / ლ ვერცხლისწყალი. pH-ის შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება მე-4 და მე-5 დღეებში. მე-5 დღეს კონტროლის pH არის მაქსიმალური – 11.57, ხოლო ცოტათი განსხვავებული მნიშვნელობა 11.49 შეესაბამება გარემოს, რომელშიც ჩატვირთულია 1 მკგ / ლ ვერცხლისწყალი (მრუდი 5).

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე სამუშაოს შედეგები გარკვეულ წარმოდგენას ქმნის წყალმცენარის *Spirulina platensis*-ის უჯრედული ზრდის დინამიკაში მასში ვერცხლის, კადიუმის და ვერცხლისწყლის აკუმულაციის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. ჩვენი კვლევები, რომელთა მიზანს წარმოადგენს წყალმცენარის *Spirulina platensis* მრავალმხრივი შესწავლა, გრძელდება.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი მადლობა გადავუხადო ა. ბელოკობილსკის, ე. გინტურს და ა. ხიზანიშვილს ექსპერიმენტების განხორციელებაში მონაწილეობისა და სასარგებლო რჩევებისათვის.

მითითებები

1. Г. А. Бабенко, Л. П. Решеткина. Применение микроэлементов в медицине. 1971, Киев: Здоровье.
2. M. A. C. L. de Oliveira, M. P. C. Monteiro, P. G. Robls, S. G. F. Leite. Aquacult. Int., 1999, 7, 4, 261-275.
3. A. Ngakou, W. Ridine, M. Mbraiguinam, F. Namba. J. Animal and Plant Sci., 2012, 13, 3, 1811-1822.
4. H. Gaese. Int. J. Agricult. Environ., 2012, 4, 32-40.
5. A. S. Babadzhanov, N. Abdusamatova, F. M. Yusupova, P. N. Fauzullaeva. Chem. Nat. Comp., 2004, 40, 3, 276-279.
6. S. Chandrabhan, H. S. Viayarti, R. Verma, S. Pratap Seniya, Sh. Vyas, S. Singh Trivedia. J. Chem. Pharm. Res., 2012, 4, 4, 2250-2254.
7. G. Disyawongs. J. KMGGBN, 2002, 12, 4, 33-35.
8. ნ. კუჭავა. Nano Studies, 2013, 7, 185-192.
9. ნ. წიბახაშვილი, ა. რჩელიშვილი, ე. გინტური, ნ. კუჭავა, ნ. ბაღდავაძე, ვ. გაბუნია. კრ.: 1-ლი საერთ. კონფ. “ნანოქიმია, ნანოტექნოლოგიები” (თეზისები). 2010, თბილისი: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნივ., 37-38.
10. N. Tsibakhashvili, T. Kalabegishvili, V. Gabunia, E. Ginturi, N. Kuchava, N. Bagdavadze, D. Pataraiia, M. Gurielidze, D. Gvardjaladze, L. Lomidze. Nano Studies, 2010, 2, 179-182.
11. ნ. კუჭავა. Nano Studies, 2014, 9, 119-126.

POSTRADIATION ANNEALING EFFECT ON PLASTIC
AND OPTICAL PROPERTIES OF LiF CRYSTAL
IRRADIATED BY HIGH FLUENCES OF NEUTRONS

M. V. Galustashvili, V. G. Kvachadze,
M. G. Abramishvili, Z. G. Akhvlediani, D. G. Driaev

E. Andronikashvili Institute of Physics
I. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
maxsvet@yahoo.com

Accepted August 29, 2014

1. Introduction

Kinetics of radiation defects formation is mainly determined by the irradiation dose and temperature and the initial defect structure of the crystal. Specifying irradiation conditions one can purposefully change radiation-induced restructuring of the crystal.

Temperature factor is crucial for formation of radiation defects at high flux densities (10^{14} n / cm² · s) when temperature in the crystal bulk can reach 500 °C and more due to the irradiation heating [1]. Under these conditions concentration and type of defects are determined by both their formation intensity and irradiation annealing, so along with point defects and their small complexes large vacancy and interstitial formations arise such as cavities and dislocation loops [2].

After irradiation the temperature factor can become the primary “modulator” of the process of intentional microstructure restructuring. Formation of new structural entities and consequently new properties during postradiation annealing of material is meant. These issues in case of alkali halide crystals, irradiated with high neutron fluences ($\geq 10^{17}$ n / cm²), are insufficiently studied. Hence, the aim of the presented paper is study of evolution of radiation defect structure in LiF crystals irradiated with fluences $10^{17} - 10^{19}$ n / cm² in the process of postradiation annealing and its effect on mechanical and optical properties.

2. Experimental technique

LiF crystal block measured $20 \times 20 \times 10$ mm was irradiated in nuclear reactor with mixed (n, γ) irradiation. Fluences 10^{17} and 10^{18} n / cm² were received at flux densities (of thermal neutrons) $2.2 \cdot 10^{12}$ n / cm² · s (temperature in the reactor channel being not more than 100 °C) whereas fluence 10^{19} n / cm² was gathered at higher flux densities 10^{14} n / cm² · s.

Samples cleaved out of the irradiated block along cleavage planes {100} for measurement of mechanical ($2 \times 3 \times 6$ mm) and optical ($5 \times 5 \times 0.5$ mm) characteristics were annealed for three hours at temperatures differing from 250 to 830 °C and slowly cooled up to room temperature. Temperature during annealing was sustained within accuracy of ± 5 °.

Stress–strain dependence $\tau(\varepsilon)$ of virgin, irradiated and annealed samples was measured at room temperature in the rigid deformation machine DY–22 by uniaxial compression along [001] with constant rate $3 \cdot 10^{-4}$ s⁻¹.

Dislocation pattern on the surface of chemically etched sample, as well as pores arising in the sample bulk after annealing, were fixed with optical microscope, the image was transferred to computer monitor.

Density of point radiation defects and their small complexes was checked by optical absorption spectra in the interval 195 – 1100 nm.

3. Results and discussion

3.1. Defect formation during annealing of irradiated samples

Reactor irradiation in both sublattices of ionic crystal creates large amount of separated Frenkel pairs, whose following destiny depends on temperature. In LiF crystals containing isotope ^6Li , which participates in nuclear reaction (n, α) , generation intensity of Frenkel pairs increases considerably and is accompanied by injection of gas reaction products (He, T) into lattice.

Under irradiation temperatures implemented in our experiments interstitial atoms (ions) have sufficiently high mobility, whereas vacancies can be considered practically immobile. When definite degree of supersaturation is achieved, condensation of interstitial atoms with formation of prismatic dislocation loops begins (loops, incipient under irradiation, are small and cannot be revealed by chemical etching). Thus, in neutron irradiated LiF crystal there is high density of vacancy centers and their small complexes (curve 1, **Figure 1**), as well as of interstitial dislocation loops of small dimensions.




Princeton researchers discovered a new quantum effect
scitechdaily.com



კუთხური გარჩევადობის ფოტოემისიური სპექტროსკოპიის მეთოდის და მძლავრი რენტგენული გამოსხივების წყაროს გამოყენებით Cd_3As_2 და Bi_2Se_3 კრისტალების მაგალითზე (სურათზე მარცხნივ) ნაჩვენებია იყო, რომ თითოეული ელექტრონი ამ მასალებში-დირაკის ტოპოლოგიურ ნახევრად ლითონებში ორი კონუსის სახით ორიენტირებულია ერთმანეთის საპირისპიროდ, რომლებიც ეხება წვეროებით (დირაკის წერტილებში), ეს მათი ქვანტური ბუნების გამომხატველია, რაც აძლევს ელექტრონს შესაძლებლობას სინათლის (ტალღის) ბუნება გამოამჟღავნოს, ქვანტური ეფექტის გამო ამ მასალებში ელექტრონი მოძრაობს ძალიან დიდი სიჩქარით. სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცია (სურათზე მარჯვნივ) აჩვენებს, რომ კონუსის ფორმის ელექტრონებს შეუძლია მასალაში ყველა მიმართულებით მოძრაობა. ზედა მარჯვენა პანელიდან ჩანს, რომ ეს ელექტრონები შეკავშირებულია, რაც მათ მოძრაობის შესაძლებლობას აძლევს დეფორმაციის დროსაც კი გაჭიმვის და მოღუნვის საფუძველზე, რაც მისი ტოპოლოგიური ბუნების ნიშანია. ამის გამო მასალა იძენს უნიკალურ და სრულიად ახალ თვისებებს.



დირაკის სამგანზომილებიანი ტოპოლოგიური ნახევრად ლითონი, Na_3Bi

- <http://scitechdaily.com/new-quantum-effect-enables-electrons-flow-rapidly-interior-topological-insulators/>
- <http://www.nature.com/nmat/journal/v13/n7/full/nmat3990.html>
- <http://www.sciencemag.org/content/343/6173/864.abstract>
- <http://www.nature.com/ncomms/2014/140507/ncomms4786/full/ncomms4786.html>
- <http://scitechdaily.com/new-quantum-effect-enables-electrons-flow-rapidly-interior-topological-insulators/>
- <http://supreme2.ru/5170-3d-grafen/>

ტოპოლოგიურ იზოლატორებში ელექტრონები თავისუფლად გადაადგილდება მასალის მხოლოდ ზედაპირზე, მასალის შიგნით შეუღწევლად. ტოპოლოგიური იზოლატორებიდან ცალკე გამოყოფენ ნივთიერებათა კლასს – დირაკის ტოპოლოგიურ ნახევრად ლითონებს (მაგალითად, Na_3Bi , Cd_3As_2 , Bi_2Se_3), რომლებშიც ელექტრონები თავისუფლად გადაადგილდება მასალის შიგნითაც ყოველგვარი წინაღობის გარეშე ახლად აღმოჩენილი ქვანტური ეფექტის გამო; ეს ეფექტი აღმოჩენილი იქნა აშშ, შვეიციის, გერმანიის, სინგაპურის, ტაივანის მეცნიერთა კოლექტივის მიერ (Science, 2014, 343, 6173, 864; Nat. Commun., 2014, 5, 3786; Nat. Mater., 2014, 3, 677; Nat. Commun., 2014, 5, 3841). კუთხური გარჩევადობის ფოტოემისიური სპექტროსკოპიის მეთოდის და მძლავრი რენტგენული გამოსხივების წყაროს გამოყენებით Advanced Light Source (Lawrence Berkeley National Laboratory) ზომავდნენ მასალის სიღრმიდან ამოვადებული ელექტრონების ენერგიას და სიჩქარეს; აღმოჩნდა, რომ ეს სიდიდეები ისეთივეა, როგორც ეს უმასო ნაწილაკებს აქვს ტოპოლოგიური იზოლატორების ზედაპირზე. ეს მასალები ტოპოლოგიურია, მაგრამ ისინი იზოლატორები არ არის და განსხვავებისთვის მათ უწოდებენ დირაკის ტოპოლოგიურ ნახევრად ლითონებს. ისინი ქვანტური მატერიის სახეა, რომელიც ექსპერიმენტული დადასტურება დირაკის სამგანზომილებიანი ფერმიონების არსებობისა მასალაში, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო თეორეტიკოსი ფიზიკოსების მიერ. მათ სამგანზომილებიან სივრცეში ელექტრონები მოძრაობს გაცილებით სწრაფად, ვიდრე ორგანზომილებიანი გრაფენის ატომთა შრეში. ტოპოლოგიურ იზოლატორებს აქვს გამოყენების დიდი

			<p>პერსპექტივა, მაგალითად, სპინტრონიკაში. ეს ტექნოლოგია იძლევა სპინებით ინფორმაციის კოდირების შესაძლებლობას; სამომავლოდ ტოპოლოგიური ქვანტური კომპიუტერის შექმნის პერსპექტივას; ამჟამად ინფორმაციის შენახვისა და გადაცემისთვის გამოიყენება ელექტრონების და ატომების მუხტები. ელექტრონების ელექტრონულ და მაგნიტურ მახასიათებლებს შორის არსებული მტკიცე კავშირის გამო შესაძლებელია სპინებით მანიპულირება ელექტრული ველის გამოყენებით. ტოპოლოგიური იზოლატორები უფრო მეტად მგრძობიარეა გარე მაგნიტური ველის მოქმედების მიმართ. ეს კი იძლევა ძალიან დიდი ტევადობის ინფორმაციის ხისტ დისკზე შენახვის საშუალებას.</p>
3D graphene /3D honeycomb-like structured graphene	3D-Graphen n	3D- графен /Трёхмерный графен	3D გრაფენი/ სამგანზომილებიანი გრაფენი
 <p>3D გრაფენის სინთეზის სქემა.</p> <p>http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/anie.201303497/abstract</p>			<p>ჩვეულებრივი გრაფენი ნახშირბადის ორგანზომილებიანი ფორმაა, რომლის ფურცლები დაახლოებით ნახშირბადის ერთი ატომის სისქისაა. უნიკალური სამგანზომილებიანი გრაფენი – 3D გრაფენი დასინთეზებულია აშშ-ში, მიჩიგანის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. მისი სტრუქტურა ფიჭის მსგავსია; მიღებულია ლითიუმის ოქსიდისა და ნახშირბად (II) ოქსიდისაგან წარმოქმნილი ლითიუმის კარბონატისგან, რომელიც აიზოლირებს გრაფენის ფურცლებს, ხელს უშლის სინთეზის დროს მათ გრაფიტიზაციას და იძლევა სამგანზომილებიან ფიჭისებერ სტრუქტურას. ბოლო საფეხურზე ლითიუმის კარბონატს მარტივად აცილებენ მჟავით დამუშავებით. 3D გრაფენს აქვს გრაფენზე მაღალი ელექტროგამტარობა და კატალიზური აქტიურობა. ორგანზომილებიან გრაფენთან შედარებით 3D გრაფენის სამგანზომილებიანი სივრცეში ელექტრონები</p>
 <p>ფიჭის სტრუქტურის 3D გრაფენის ველის ემისიური მასკანირებელი მიკროსკოპული (FESEM) სურათი. ახალი მასალა ცვლის პლატინას მაგენერირებელი სიმძლავრის დაკარგვის გარეშე.</p> <p>http://www.mtu.edu/news/stories/2013/august/3d-graphene-solar-powers-next-platinum.html</p>			

	<p>მოდრაობს უფრო დიდი სიჩქარით წინაღობის გარეშე. ეს იძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობას ენერჯის დამგროვებელსა და გარდამქმნელში. იაფი 3D გრაფენი მზის ელემენტებში წარმატებით ცვლის პლატინის ელექტროდებს; მაგალითად, სადებავით სენსიბილიზებულ მზის პანელებში (DSSC) 3D გრაფენის ელექტროდის შემთხვევაში ელექტრულ ენერჯიაში გარდაიქმნება მზის ენერჯის 7,8%, გაცილებით ძვირი პლატინის ელექტროდების შემთხვევაში კი – 8%.</p>
--	--

References

1. Англо-русский нанотехнологический словарь. <http://popnano.ru/glossary/index.php?letter=P&ctg=7>
2. Словарь нанотехнологических и связанных с нанотехнологией терминов. Электронный словарь. РОСНАНО. 2009. <http://thesaurus.rusnano.com>
3. Linguee.de- Das Web als Wörterbuch. <http://www.linguee.de/>
4. Dictionary of nanotechnology (Nanodictionary). <http://www.nanodic.com/>
5. <http://www.dict.cc>
6. www.nano.org.uk/nano/glossary
7. <http://dict.leo.org/Englisch-Deutsch/.html>
8. В. А. Богатырёв, Л. А. Дыкман, Н. Г. Хлебцов. Методы синтеза наночастиц с плазмонным резонансом. 2009., Саратов: Саратовский гос. унив.
9. V. Klimov. Nanoplasmonics. 2014, Pan Stanford.
10. <http://www.enzyklo.de/Begriff>
11. А. А. Елисеев, А. В. Лукашин. Функциональные наноматериалы. 2010, Москва: Физматлит.
12. რუსულ–ქართულ–ინგლისურ–გერმანული ქიმიური ლექსიკონი (რედ. და გამომც. ვ. დოლიძე, ვ. ციციშვილი). 2004, თბილისი: უნივერსალი.
13. ტექნიკური ტერმინოლოგია. ქართულ–რუსული ნაწილი (რედ. რ. დვალის, რ. ღამბაშიძე). 1982, თბილისი: მეცნიერება.

მოხსენება წაკითხული ზურაბ სარალიძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც 2012 წლის 23 თებერვალს გაიმართა ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში

ზურაბ სარალიძე

ვ. კვაჭაძე

ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი
ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
kvachadze@yahoo.com

მიღებულია 2014 წლის 31 აგვისტოს

*როგორ გვჭირდება თურმე ყველას დღეს ერთმანეთი,
და რა მიმივა გახსენება ჩვენგან წასულთა.
ზ. სარალიძე*

რომელიმე თაობის ღვაწლი ზოგჯერ მეტად გაბრწყინდება და შემდგომ ამ თაობის სახელი მიეკუთვნება ეპოქასაც. ქართულ კულტურაში სულ უახლეს პერიოდში ასეთი იყო გასული საუკუნის სამოციანელთა თაობა.

მეცნიერებას ასეთი აღიარებით ნაკლებად სწყალობს საზოგადოება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმ სამოციან წლებს დაემთხვა მყარი სხეულების ფიზიკის რენესანსიც საქართველოში. ეს ის დროა, როცა მყარი სხეულების ფიზიკის წიაღში იზადებოდა ახალი მიმართულება, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ფიზიკოსებსაც. ამ მიმართულებას მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკა ჰქვია დღეს. რადიაციულ სარტყელში მოქცეული ადამიანისთვის ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მეცნიერების ამ დარგს კაცობრიობის პროგრესისთვის. სხვა თუ არაფერი, უიმისოდ ხომ ვერავინ გაადგამდა და გაადგამს ფეხს დედამიწიდან და იკაროსის ბედს გაიზიარებს მავანი.

სწორედ მყარი სხეულების რადიაციულ ფიზიკაში გაწეული ღვაწლისთვის ერთ-ერთ გამორჩენილ სამოციანელად შეიძლება ვაღიაროთ ზურაბ სარალიძე.

ზურაბ სარალიძე დაიბადა 1937 წლის 20 თებერვალს. მიუხედავად იმ წლებში დატრიალებული ამბებისა ოჯახს არც დედის ზრუნვა დაჰკლებია, არც მამისა. თუმცა როგორც ყველა, ეს ოჯახიც მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, რა თქმა უნდა.

რაიმე ამბის აღწერისას ძნელია კალამი არ გაგექცეს და ოდნავ მაინც გვერდზე არ გადაუხვიო; ანდა რა გადახვევაა, თუ კი უფრო ფართოდ იტყვი სათქმელსა. ვახსენებთ ახლა, რომ ზ. სალარიძემ წარჩინებით დაამთავრა მე-6 ვაჟთა სკოლა თბილისისა (1955 წელს), მაგრამ მომავალს ვინ ეტყვის, რომ ეს იყო ერთ-ერთი წარჩინებული სკოლა დედაქალაქში – სახელგანთქმული “იპოლიტეს სკოლა”. ვახსენებთ ახლა, რომ ზ. სარალიძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის

ფაკულტეტზე, სადაც ადრევე გამოამყლავნა ლიდერის თვისებები (იყო ფაკულტეტის სტუდენტური სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე), მაგრამ მაშინ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ამ “პერიფერიულ” უნივერსიტეტზეც. ეს ხომ არ იყო არც ჰეიდელბერგი, არც კემბრიჯი, ანდა თუნდაც ფრანგული სორბონა (ვინ გაგიშვებდა იქ, რომ მოგენდომებოდა კიდევ?!). თუმცა არც აქაურ “სტალიცაში” რომ არ წასულა სწავლას დაწაფებული ყმაწვილი?!



ზურაბ სარალიძე.

პარადოქსია, მაგრამ იმპერია, რასაც ასწავლიდა, კარგად ასწავლიდა. გადმოელო გერმანული მოდელი და მისით „მუშტრავდა“ ახალგაზრდობასა. თუმცა მოდელი რას უშველიდა, თუ მასწავლებელი არ იქნებოდა ყველა მოდელზე მაღლა. იმ დროს და შემდგომშიც ეს უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთი მოწინავე იყო იმპერიის მასშტაბით. ფიზიკის მეცნიერების საფუძვლებს ასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები და პიროვნებები. უპირველეს ყოვლისა უნდა ვახსენოთ ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, მათე მირიანაშვილი, გივი ხუციშვილი!



ო. ჭეიშვილი, ზ. სარალიძე და ა. ნერსესიანი
ბატონ გივი ხუციშვილთან.

შემთხვევითობად ნუ მივიჩნევთ იმ ღმერთკაცის სტუმრობასაც საქართველოში. იმპერიის ჩინოვნიკებს სულაც არ უნდოდათ ნილს ბორის გამოშვება აქეთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იყო იმპერიის საგამოფენო დარბაზის ბრწყინვალე ექსპონანტი. თანაც ისიც ხომ აქ იყო სასეიროდ ჩამოსული იმ დროსა, ის – *თავგახურებული მესიმინდე და რაიმე არ მოიწიონ ქართველებმაო* – არ უშვებდნენ ბორსა. მაგრამ “... of course, Georgia ...” – წყნარად წარმოთქვა ბორმა და მორჩილად დაჰყენენ მის ნებას

1960 წელს ზურაბ სალარიძე ასევე წარჩინებით ამთავრებს უმაღლესის სრულ კურსს და მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. თავისი სამეცნიერო საქმიანობა მან იმთავითვე დაუკავშირა მყარი სხეულების რადიაციულ ფიზიკასა და დისლოკაციების თეორიას. საამისოდ იგი არსებითად მოემზადა საქვეყნოდ ცნობილ ხარკოვის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში აკადემიკოსების ილია ლიფშიცისა და არნოლდ კოსევიჩის ხელმძღვანელობით.

პირველი შრომები მიემდვნა პრიზმატული დისლოკაციური მარყუჟების კოალესცენციის პროცესს, რომელთა შედეგები საფუძვლად დაედო ზ.სარალიძის მაშინდელ საკანდიდატო დისერტაციას (1967 წელი). შემდგომ შეიქმნა ერთიანი დიფუზურ-დისლოკაციური თეორია (სადოქტორო დისერტაცია, 1982 წელი), სადაც განხილულია რადიაციით სტიმულირებული ყველა ტიპის დეფორმაცია: რადიაციული გასივება, რადიაციული ცოცვა, რადიაციული ზრდა; აგრეთვე – მათ შორის კავშირი და ურთიერთგავლენა. ეს ის სამებაა, რომელიც ზღუდავს სხვადასხვა მასალების სიცოცხლის ხანგრძლივობას რადიაციულ ველში.

ერთიანი დიფუზურ-დისლოკაციური თეორია უმაღლესი მიღწევაა ზურაბ სალარიძის შემოქმედებაში. ამ თეორიის გამო აღიარეს იგი მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის წამყვან სპეციალისტად, ამიტომაც სწორედ მას სთხოვეს მონაწილეობა მიეღო სათანადო თავების დაწერაში დისლოკაციებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო მონოგრაფიისთვის. რაც მთავარია, დრო კიდევ უფრო წარმოაჩენს ზურაბ სალარიძის შედეგებს. სწორედ ახლა დგას ყველაზე მწვავედ ახალი, რადიაციულად მდგრადი მასალების შექმნის საკითხი მომავალი თაობის ბირთვული რეაქტორებისთვის. ეს კი რადიაციული დეფორმაციის იმ მექანიზმების გათვალისწინების გარეშე, რომელთაც აღნიშნული თეორია მოიცავს, შეუძლებელია. მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ.სარალიძე იყო რადიაციული მყარი სხეულების პრობლემებზე მომუშავე ყოფილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ყოფილი სსრკ-ის ატომური ენერჯის სახელმწიფო კომიტეტის წევრი; ჟურნალის “Вопросы атомной науки и техники” რედკოლეგიის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ასტრონომიის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.

1983 წლიდან ზურაბ სალარიძე ფიზიკის ინსტიტუტის მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელია. ამ, უმთავრესად ექსპერიმენტულ, განყოფილებაში იგი უშუალოდ მონაწილეობს იონურ კრისტალებში ოპტიკო-მექანიკური მოვლენების შესწავლაში. ამ პერიოდში იქნა მის მიერ დადგენილი, რომ დეფექტების წონასწორული და სტაციონარული განაწილების ფორმირება ორკომპონენტთან მოწესრიგებულ კრისტალებში შესაძლებელია მხოლოდ თვითშეთანხმებულად ორივე ქვემესერში და ხასიათდება რამოდენიმე დროითი მუდმივით. ნაჩვენები იქნა აგრეთვე, რომ იონური კრისტალების ერთდერძიანი კუმშვითი დეფორმაციის პირობებში თავისთავად გამოიყოფა უპირატესი სრიალის სისტემა სხვა სისტემების თანდათანობითი ბლოკირების გზით. ამ უკანასკნელმა

დებულებამ გასაგები გახადა მოვლენა, რომელიც ცოტა ხნით ადრე აღმოჩინათ ქართველ ფიზიკოსებს ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით და მოულოდნელ შედეგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. კერძოდ, კრისტალებზე მექანიკური ძაბვისა და მაიონებელი რადიაციის ერთდროული მოქმედებით მიიღება კრისტალის სიმტკიცისა და პლასტიკურობის ერთდროული ზრდა.




აკადემიკოსები ა. თავხელიძე, ე. ანდრონიკაშვილი და ჯ. ლომინაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილებაში. ხელმძღვანელი ზ. სარალიძე და მკვლევარი მ. გალუსტაშვილი (სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის საპრობლემო საბჭოს სწავლული მდივანი 1977 – 1990 წლებში).

რაკი ექსპერიმენტისა და თეორიის ურთიერთკავშირსაც შევხებით, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტიც. ორიოდე წელი იყო გასული რეაქტორის ამუშავებიდან, როცა ე. ანდრონიკაშვილმა მყარ სხეულებზე მიღებული პირველი შედეგები მოახსენა ვენეციის საერთაშორისო კონფერენციას (1962 წელი), რომელსაც უხმაუროდ არ ჩაუვლია. აქაც აღმოჩნდა იმის მსგავსი შედეგი, რომელიც ოდნავ ადრე დაემზირათ ინგლისელებსა (ჰარუელი) და რომლის თანახმადაც მყარ სხეულებში (ლითონის ფოლგებში) რეაქტორში დასხივების შედეგად წარმოიქმნება ახალი დისლოკაციები. ექსპერიმენტულ შედეგს წინ რა უნდა დაუდგეს, მაგრამ იმჟამად ბოლომდე არ აღიარებდნენ ამ მოვლენასა. ამიტომაც იყო საინტერესო ქართველ მეცნიერთა შედეგი, უკვე იონურ კრისტალებშიც რომ გამოეყოთ ნეიტრონების ზემოქმედებით შექმნილი წილი ამ სპეციფიკური სტრუქტურული დეფექტებისა. ზ. სარალიძისეულმა კოალესცენციის თეორიამ სავსებით შესაძლებელი გახადა ამ მოვლენის ახსნა.

ბოლო წლებში ზ. სარალიძე გატაცებული იყო დაბალპოტენციური სითბური ენერჯის გარდაქმნის პრობლემით. ამასთან დაკავშირებით იგი მოხსენებით წარსდგა

სპეციალისტების წინაშე (აშშ-ში), რასაც მოჰყვა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის გრანტი (2000 წელი) და თავდაუზოგავი მუშაობა. აქ უკვე ვეღარ გაარჩევდა კაცი, ვინ იყო ზურაბ სალარიძე, თეორეტიკოსი თუ ექსპერიმენტატორი. მას, როგორც ბევჯერ უთქვამთ მის უცხოელ კოლეგებს, მართლაც რომ სიამოვნებასა და სიხარულს ჰგვრიდა მეცნიერების მსახურება. ზ.სარალიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა სითბური ძრავის რამოდენიმე ორიგინალური მოდელი, რომლის მუშაობაც ეფუძნებოდა სტრუქტურულ ფაზურ გარდაქმნებს შესაბამის მყარ სხეულებში.



ზურაბ სალარიძე მოხსენების დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში.

ყოველივე ამასთან ერთად, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში (1988 წლიდან) ზურაბ სარალიძე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის კვლევით ბირთვულ რეაქტორთან დაკავშირებულ საქმეებს, მათ შორის, რეაქტორის რადიაციულად უსაფრთხო მდგომარეობაში გადაყვანის პროგრამას, რომელიც სრულდებოდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) მხარდაჭერით. იგი იყო აესს-ის მიერ აღიარებული ექსპერტი. ზურაბ სარალიძის თავდაუზოგავი საქმიანობის შედეგია 1994–2002 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რადიაციული წყაროების იდენტიფიკაცია და უვნებლყოფა. მხოლოდ წარმოდგენა თუ შეიძლება, რას გადაურჩა ჩვენი ქვეყანა მაშინ.

მიუხედავად ასეთი დატვირთული ცხოვრებისეული პროგრამისა, ზურაბ სარალიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში: სპეციალიზირებული სადისერტაციო საბჭოების წევრი, ასპირანტებისა და მაძიებლების გზამკვლევი, სწორუპოვარი ლექტორი



ზურაბ სარალიძე და ნოე ქათამაძე (ბირთვული ცენტრის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი).

ზურაბ სარალიძე – მრავალი საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მათ შორის გამოყოფთ რადიაციული ფიზიკისა და რადიაციული მასალათმცოდნეობის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებსა და სკოლებს, რომელთა სულისჩამდგმელი ე. ანდრონიკაშვილთან ერთად იყო ზურაბ სარალიძე და რომელიც მშობლიურ საქართველოში ტარდებოდა (თელავი 1965, თბილისი 1973, თელავი 1983, ბაკურიანი 1973–1991 წლები). მართლაც და ოქროს ხანა მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკისათვის საქართველოში!

ცხადია, ის რაც აქ დაიწერა მხოლოდ თეზისებად თუ გამოდგება ზურაბ სარალიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერათვის. ანდა როგორ უნდა აუარო გვერდი იმ განსაკუთრებულ ხიბლს, რომელიც განუმეორებელს ხდიდა მის იერ-სახესა და პიროვნებას?! თხელი, თითქოს ფრესკიდან გადმოსული სხეულით; თემოებჩაწურული, ცხადია; შედარებით მაღალ ტანზე ლამაზად მორგებული თავით; მხოლოდ მისეული კანის ფერით (ხოზბლის ფერიო – ამაზე თუ ითქმის), ოდნავ ჯმუხიც ... მოკლედ, კაცური კაცის შესახედაობისა და წყობისა; გარე სამყაროსადმი კეთილად განწყობილი ადამიანი.

ნიჭიერება, შრომა, აღიარება ... თითქოს ბედნიერი უნდა ყოფილიყო, როგორც მეცნიერი?! მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ უფრო მეტისთვის იყო გაჩენილი. ოდნავ ის დარგიც ბორკავდა, რომელიც აერჩია; ის ტიტულებიცა ... იმ ქაოსის დალაგებას ცდილობდა, რომელიც რადიაციას მოჰყვება ხოლმე კონდესირებულ გარემოში, თუ მის გარეთ. ალაგებდა კიდევ, წარმატებით (როგორც აღინიშნა უკვე), მაგრამ მიღწეულ წარმატებებს განა შეეძლო გაენელებინა შემდგომი ვნებანი და ცოდნის წადილი? ზურაბ სარალიძე, საბედისწერო მდგომარეობაში მყოფიც, არ წყვეტდა შემოქმედებით მუშაობას ...


დაბოლოს: არ შეიძლება დამარცხებაზე ლაპარაკი იქ, სადაც გამარჯვება არ არსებობს! ზურაბ სარალიძე არ დამარცხებულა. ის გარდაიცვალა მხოლოდ.

ბოლოდროინდელი კვლევები ნანოტექნოლოგიაში


წინამდებარე წერილი ნანოტექნოლოგიაში ბოლო დროს შესრულებული განმაზოგადებელი კვლევების ერთგვარ დაიჯესტს წარმოადგენს. ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ამ მიმართულებით უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მიმოხილვითი ხასიათის შრომებს.

* * *


ნანოტექნოლოგიაში მეტად სანდო, ციტირებადი და მოთხოვნადი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ გამოცემული ჟურნალები და სხვა სამეცნიერო ლიტერატურა.



ნანოტექნოლოგია:
სამუშაო – მცირე,
საფიქრალი – დიდი.



შენარჩუნე
შენი ადგილი
ქიმიის სამყაროში!



2014 – ქიმიის წელი.

ამ გამოცემათა სარეკლამო ბანერზე, რომელიც ზემოთაა მოტანილი, ხაზგასმულია ნანოტექნოლოგიის დიდი მეცნიერებატევადობა. ჟურნალების მიღება საგრძნობი ფასდაკლებით შეუძლია ამერიკის ქიმიური საზოგადოების ყველა წევრს, უცხოელი წევრების ჩათვლით. მეორე ბანერი, რომელზეც საქართველოს დროშა მოჩანს, მათ მოუწოდებს მომავალ წელსაც განახლონ თავიანთი წევრობა. ყველა წევრი უფასოდ იღებს ამერიკის ქიმიური საზოგადოების ყოველკვირეულ ჟურნალს Chem. & Eng. News. და რადგანაც 2014 ქიმიის წლად იყო გამოცხადებული, ჟურნალის 2014 წლის ბოლო ნომერი ქიმიის წლის შეჯამებას დაეთმო.

ქიმიური ელემენტების, კერძოდ, ლითონების, თვისებების პერიოდული ცვლილების ახლებურ ხედვას მკითხველი გაეცნობა პროფ. ფათჰი ჰაბაშის (ლავალის უნივერსიტეტი, კვებეკ-სიტი, კანადა) სტატიაში:

- F. Habashi. Metals: Typical and less typical, transition and inner transition. Found. Chem., 2010, 12, 1, 31-39.

საკუთარ კომენტარებში მეცნიერებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ დოქტ. სიირამ რამაკრიშნა (სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის

ნანობიოტექნოლოგიისა და ნანოტექნოლოგიის ცენტრი) მასალათმცოდნეობასა და ინჟინერიას, როგორც არსებულ სოციალურ გამოწვევათა შემამსუბუქებელს ისე განიხილავს:

- S. Ramakrishna. On science and society. Mater. Today, 2013, 16, 4, 102-103.

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სათანადო დონის ნანოტექნოლოგიური და ნანსამეცნიერო განათლების აუცილებლობას შეეხება ნითან ჩოპრასა და რამანა გ. რედის (ალაბამას უნივერსიტეტი, აშშ) სტატია:

- N. Chopra, R. G. Reddy. Undergraduate education in nanotechnology and nanoscience. J. Min. Met. Mater. Soc., 2012, 64, 10, 1127-1129.

ნანოტექნოლოგიის გამოყენებით წყლიდან დამაბინძურებლების, კერძოდ, ნავთობპროდუქტების მინარევების, მოცილების მეთოდები აღწერილია ორ უახლეს მიმოხილვით სტატიაში:

- B. I. Kharisov, H. V. Rasika Dias, O. V. Kharissova. Nanotechnology-based remediation of petroleum impurities from water. J. Petrol. Sci. & Eng. 2014 – article in press: <http://dx.doi.org/10.1016/j.petrol.2014.09.013i>
- I. Gehrke, A. Geiser, A. Somborn-Schulz. Innovations in nanotechnology for water treatment (Review). Nanotechnol. Sci. & Appl., 2015, 8, 1-17.

ნანოტექნოლოგიის სამხედრო გამოყენებების თაობაზე იხილეთ მიმოხილვა:

- J. J. Ramsden. Nanotechnology for military applications. Nanotechnol. Percep., 2012, 8, 99-131.

სოფლის მეურნეობასა და სურსათის წარმოებაში ნანოტექნოლოგიის დანერგვის პერსპექტივებსა და შემაფერხებელ ფაქტორებს ეხება ორი ახალი მიმოხილვა:

- Bh. Singh Sekhon. Nanotechnology in agrifood production: An overview. Nanotechnol. Sci. & Appl., 2014, 7, 31-53.
- S. S. Mukhopadhyay. Nanotechnology in agriculture: Prospects and constraints (Review). Nanotechnol. Sci. & Appl., 2014, 7, 63-71.

დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის გამოსადეგი ნანობიოსენსორების სპეციალური ჟურნალის ერთი ნომერი მიემძვნა ინტეგრალურ ნანობიოსენსორულ ტექნოლოგიას, რომელსაც კიდევ უფრო ფართო ბიოსამედიცინო გამოყენების პერსპექტივა აქვს. ნომერი იხსნება რედაქტორის წერილით, სადაც მიდგომის ძირითადი პრინციპებია ჩამოყალიბებული:

- Ch. Choi. Integrated nanobiosensor technology for biomedical application (Editorial). Nanobiosen. Disease Diagn., 2012, 1, 1-4.

აქ გამოქვეყნებულია ორი მიმოხილვითი სტატია, რომლებშიც ასეთი ხელსაწყოების კონკრეტული მაგალითებია აღწერილი:

- M. Koo, S. Y. Park, K. J. Lee. Biointegrated flexible inorganic light emitting diodes (Review). Disease Diagn., 2012, 1, 5-15.
- W. Lee, J. Lee, J. Koh. Development and applications of chip calorimeters as novel biosensors (Review). Nanobiosen. Disease Diagn., 2012, 1, 17-29.

სტატიათა ამავე სერიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჟურნალის უახლეს ნომერში გამოქვეყნებული მიმოხილვა დაავადებათა დიაგნოზირებაში ნანობიოსენსორების სამომავლო პერსპექტივების თაობაზე:


- Sh. Prasad. Nanobiosensors: the future for diagnosis of disease? (Review). Nanobiosen. Disease Diagn., 2014, 3, 1-10.

* * *

2013 წელს გამოვიდა წიგნი:

- K. E. Drexler. Radical Abundance: How a Revolution in Nanotechnology will Change Civilization. 2013, Public Affairs, 368 p.

გავიხსენოთ, რომ მისი ავტორი – კ. ე. დრექსლერი ერთ-ერთი იმ პერსონაჟებია, რომელიც ნანოტექნოლოგიის სათავეებთან იდგა. სწორედ მას ეკუთვნის ტერმინი “ნანოტექნოლოგია”, ისევე როგორც მოლეკულური ასემბლერის იდეა. ამ წიგნში იგი ამტკიცებს, რომ ატომარულად ზუსტი წარმოება გარდაქმნის ჩვენს ცივილიზაციას.



კ. ე. დრექსლერის წიგნის გარეკანი.



ბ. ადამსის, ს. კალიდინდისა და დ. ფილვუდის წიგნის გარეკანი.

მიკროსტრუქტურის მიმართ მგრძობიარე დიზაინისადმი მიძღვნილ წიგნში:

- B. Adams, S. Kalidindi, D. Fullwood. Microstructure-Sensitive Design for Performance Optimization. 2012, Elsevier, 424 p.

ნაბიჯ-ნაბიჯ არის განმარტებული ამგვარი მიდგომის საკვანძო კონცეფციები და აღწერილია მისი რეალიზების ინსტრუმენტები.

მომავალში (2035 წლამდე პერიოდში) ნანოტექნოლოგიური ენერგეტიკის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვითუნარიანობაზე გავლენის პროგნოზირების ცდაა მოცემული ჩატარებული გამოკვლევის ანგარიშში:

- A. B. Yarbrough II. The Impact of Nanotechnology Energetics on the Department of Defense by 2035. Res. Rep. Air War College. 2010, Air University, 38 p.

მე-4 საერთაშორისო კონფერენციის *HighMatTech* (2013 წლის 7 – 11 ოქტომბერი, კიევი, უკრაინა) პლენარულ სხდომაზე კ. ს. სმერტენკომ და ლ. ი. ჩერნიშევმა გააკეთეს მოხსენება:

- P. S. Smertenko, L. I. Chernyshev. Nanomaterials in 6th technological cycle. In: Proc. 4th Int. Conf. *HighMat Tech.* 2013, Kiev: IPMS, 52-52.

რომელშიც განხილული იყო ნანომასალების როლი მომავალ – მე-6 ტექნოლოგიურ ციკლში. მათი მტკიცებით, ეს ციკლი სწორედ ახლა იღებს სტარტს და ძირითადად კონცენტრირებული იქნება შემდეგ ტექნოლოგიებზე:

- ბიოტექნოლოგიები;
- ნანოტექნოლოგიები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები; და
- კოგნიტური ტექნოლოგიები.

ნანოტექნოლოგიების მნიშვნელოვანი როლის გამო აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს მასალათმცოდნეობის მომავალი განვითარების მიმართულებები.

ლევან ჩხარტიშვილი

2014 წლის 15 დეკემბერი

მე-3 სამართაშორისო კონფერენცია
“ნანოტექნოლოგიები” (ნანო – 2014)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მოწინავე – მეცნიერებატევადი – ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საკვანძო მნიშვნელობა შეიძინეს ნანომეცნიერებებმა და ნანოტექნოლოგიებმა.

აღნიშნული ფაქტი, ერთის მხრივ, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ გამოირკვა: ნივთიერების ძალზე მცირე (ნანო) ზომის სტრუქტურების ზოგიერთი ფიზიკური და ქიმიური თვისება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ამავე ნივთიერების სასრულო ზომის ნიმუშების შესაბამისი თვისებებისაგან. მეორეს მხრივ, ეს ახალი თვისებები სულ უფრო და უფრო მეტ გამოყენებას პოულობენ ტექნიკისა და წარმოების მრავალ სფეროში.

სხვადასხვა დარგის ქართველი მეცნიერები – ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მასალათმცოდნეები, ტექნოლოგები და ა.შ. – ინტენსიურად მონაწილეობენ ნანოკვლევებსა და ნანოტექნოლოგიების შემუშავებაში. ამ მიმართულებით მათ ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგი აქვთ მიღებული. გარდა ამისა, ნანომეცნიერებებისა და ნანოტექნოლოგიების ქართველი სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით ცენტრებთან.

ნანოკვლევებში ქართული სამეცნიერო ჯგუფების ჩართულობის გამოხატულებაა ის, რომ 2010 წლიდან მოყოლებული საქართველოში ყოველ ორ წელიწადში იმართება ნანოტექნოლოგიებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. ისევე, როგორც 2012 წელს, მიმდინარე წელსაც ასეთი (რიგით უკვე მე-3) კონფერენციის ორგანიზება ითავა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა.

ჩამოყალიბდა მე-3 საერთაშორისო კონფერენციის “ნანოტექნოლოგიები”, 2014 წლის 20 – 24 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო (ნანო – 2014)

საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი:

თავმჯდომარე – არჩილ ფრანგიშვილი (საქართველო);

ვიცე-თავმჯდომარეები – ზურაბ გასიტაშვილი (საქართველო) და ალექსი გერასიმოვი (საქართველო);

წევრები – ჟორეს ალფიოროვი (რუსეთი), ჰოსსეინ ამინიანი (კანადა), იური გულიაევი (რუსეთი), ონურალფ იუჯელი (თურქეთი), ჰალდუნ კურამა (თურქეთი), იგორ მარონჩუკი (უკრაინა), ფერნანდ მარკისი (აშშ), ვიქტორ მორდკოვიჩი (რუსეთი), ვალენტინ პარმონი (რუსეთი), ტოიჰისა ფუჯიტა (იაპონია), კლაუს ტისსენი (გერმანია), პავან ხანნა (ინდოეთი), ბორის ხარისოვი (მექსიკა) და ფათჰი ჰაბაში (კანადა); და

ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე – ალექსი გერასიმოვი;

წევრები – ალიოშა ბაკურიძე, ამირან ბიბილაშვილი, აკაკი გიგინეიშვილი, გურამ დგებუაძე, მიხეილ ვეფხვაძე, ოთარ ზუმბურიძე, პაატა კერვალიშვილი, ლევან მაცაბერიძე, შოთა სიდამონიძე, გიორგი ჩირაძე, რაფიელ ჩიქოვანი, გურამ ჩიხლაძე, ნიკოლოზ ჩიხრაძე, ლევან ჩხარტიშვილი და დავით ჯიშიაშვილი.

შეიქმნა კონფერენციის ვებ-საიტი: www.nano2014.gtu.ge. მისი მეშვეობით განხორციელდა მონაწილეთა რეგისტრაცია და მოხსენებათა თეზისების მიღება.



კონფერენციის გახსნაზე. პრეზიდენტში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი (ცენტრში) და დარბაზში – რექტორის მოადგილე ზურაბ გასიტაშვილი (მარცხნივ).

კონფერენცია გაიხსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის საკონფერენციო დარბაზში, პლენარული და პოსტერული სესიები კი მიმდინარეობდა საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში.



ალექსი გერასიმოვი (საქართველო).



ლევან ჩხარტიშვილი (საქართველო) და მიხეილ ვეფხვაძე (საქართველო).



კონფერენციის სტუდენტური ლობი.



კონსტანტინე ლაპკო (ბელარუსი) და ჰრანტ ერიციანი (სომხეთი).



ლერი რუხაძე (საქართველო) და დომენტი გაბუნია (საქართველო).

მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე “ნანოტექნოლოგიები”, 2014 წლის 20–24 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო (ნანო – 2014) წარმოდგენილი იყო 121 მოხსენების თეზისები. მათი ავტორები ნანოფიზიკის, ნანოქიმიის, ნანომასალათმცოდნეობისა და ნანოტექნოლოგიის დარგის ბევრი ცნობილი და, ასევე, ბევრი ახალგაზრდა მკვლევარია 21 ქვეყნის (აზერბაიჯანი, აშშ, ბელარუსი, ბულგარეთი, გერმანია, ერაყი, თურქეთი, იაპონია, ინდოეთი, ირანი, კანადა, ლიტვა, მექსიკა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ყაზახეთი) უნივერსიტეტებისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. უცხოელი ავტორების მნიშვნელოვანი ნაწილი დაესწრო კონფერენციას.



პლენარულ სხდომაზე.



ფერნანდ მარკისი
(აშშ).



ვიქტორ მორდკოვიჩი
(რუსეთი).




ლასლო კოტაი
(უნგრეთი).

პლენარულ სესიებზე წარმოდგენილი იქნა 10 მოწვეული და 29 ზეპირი მოხსენება, დანარჩენი 82 მოხსენება წარმოდგენილ იქნა პოსტერულ სესიებზე.



პოსტერულ სესიაზე.



ლინა სარტინსკა
(უკრაინა)
წარმოადგენს
პოსტერულ
მოხსენებას.



ლევან ჩხარტიშვილი (საქართველო)
და ალექსი გერასიმოვი
(საქართველო) განიხილავენ პოსტერს.

გარდა დატვირთული სამეცნიერო პროგრამისა, კონფერენციის ორგანიზატორებმა მონაწილეებს შესთავაზეს საინტერესო სოციალური პროგრამა – გაიმართა ექსკურსია “თბილისი ღამით” და ტური კახეთში მარშრუტით უჯარმა–შუამთა–ალავერდი–თელავი, გაიმართა კონფერენციის მონაწილეებისა და სტუმრების მიღება და მეგობრული ბანკეტი.



ონურალგ იუჯელი (თურქეთი)
და ჰალდუნ კურამა (თურქეთი)
ექსკურსიაზე “თბილისი ღამით”.



კონფერენციის მონაწილეთა მეგობრულ
ბანკეტზე რესტორან “ფაეტონში”.



კლაუს ტისენი (გერმანია),
ფერნანდ მარკისი (აშშ) და
ლინა სარტინსკა (უკრაინა).



უჯარმის ციხესთან.




ალავერდის საკათედრო ტაძართან.
ნოდარ მაისურაძე (საქართველო).



მრავალსაუკუნოვან ჭადართან თელავში. ელვინ მალიკოვი
(აზერბაიჯანი), გოკთუგ გუნკაია (თურქეთი), ფათჰი და ნადია
ჰაბაშები (კანადა), კონფერენციის სტუდენტური ლობი, მიხეილ
ჩიხრაძე (საქართველო) და იასინ პოლატი (თურქეთი).

კონფერენციის დაწყებამდე დაიბეჭდა პროგრამა და მოხენბათა თეზისების კრებული (შემდგენლები: ა. გერასიმოვი, ლ. ჩხარტიშვილი, გ. ჩიხლაძე). მათი ეგზემპლარები დაურიგდათ მონაწილეებს. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების სრული ტექსტები საერთაშორისო რეცენზირების პროცედურის გავლის შემდეგ სტატიების სახით ქვეყნდება კონფერენციის პარტნიორ ჟურნალებში Nano Studies (მათი უმეტესობა) და European Chemical Bulletin (ნანოქიმიის მიმართულების შრომები).



კონფერენციის პროგრამის გარეკანი.



კონფერენციის თეზისების გარეკანი.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ეს სამეცნიერო ფორუმი დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით, ხოლო კონფერენციის ვებ-პრომოუტერს წარმოადგენდა Institute of Nanotechnology – ‘Connecting Global Innovation’ (გლაზგო, შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო).



საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი



ნანოტექნოლოგიის ინსტიტუტი
‘გლობალურ ინოვაციასთან მიერთება’

მონაწილეთა საერთო აზრით, მე-3 საერთაშორისო კონფერენცია “ნანოტექნოლოგიები”, 2014 წლის 20–24 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო (ნანო – 2014) ჩატარდა მაღალ სამეცნიერო და ორგანიზაციულ დონეზე და ეს სამეცნიერო ფორუმი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდა ნანომეცნიერთა და ნანოტექნოლოგთა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უახლესი სამეცნიერო შედეგების ურთიერთგაცვლისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე.

მიხეილ ვეფხვაძე

2014 წლის 26 ოქტომბერი

2014 წელს ჩატარებული და 2015 წლისათვის დაგეგმილი ნანოფორუმები

ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიის სწრაფი პროგრესის გამოხატულებაა ნანოფორუმების წლიდან წლამდე მზარდი რაოდენობა. ქვემოთ შევეცდებით მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია ზოგიერთ იმ ნანოკონფერენციაზე, რომელიც 2014 წელს ჩატარდა ან რომლის გამართვაც მომდევნო – 2015 წლისათვის იგეგმება

* * *

2014 წლის 6 მაისს ყაზანში, რუსეთი, ვირტუალური კონფერენციების სერვისმა Pax Grid გაიმართა მე-2 სრულიად რუსეთის და საერთაშორისო თანამონაწილობით სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია “ნანოტექნოლოგია თეორიასა და პრაქტიკაში”. მოხსენებები წარმოდგენილი იყო შემდეგი ქვეყნებიდან: ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, ჩინეთი და ყაზახეთი. მუშაობა მიმდინარეობდა 7 სექციაში: ნანოტექნოლოგიები და ნანოკომპოზიტები კოსმოსური სფეროსათვის; ნანომასალების სტრუქტურისა და თვისებების მოდელირება; ნანოტოქსიკოლოგია; ნანოსტრუქტურების თვისებები; ნანომასალები; ნანონაწილაკების კვლევის მეთოდები; და ახალი ნანოსტრუქტურული მასალების სინთეზი.

რუსულ ენაზე გამოიცა კონფერენციის მასალები მოხსენებათა სრული ტექსტებით: Сост. Д. Н. Синяев. Нанотехнология в теории и практике. II Всеросс. науч. интернет-конф. с междунар. участием. Матер. конф. Сервис вирт. конф. Pax Grid. 2014, Казань: ИП Синяев Д. Н., 194 с. აქ დაიბეჭდა ქართველი მონაწილეების სტატია (გვ. 131-136):

• ი. ნ. ფულარიანი, ლ. ს. ჩხარტიშვილი, დ. ლ. გაბუნია, ზ. მ. მირიჯანაშვილი. CrB₂-TiB₂-Al₂O₃ კომპოზიტური დანაფარების მიერ ნეიტრონების შთანთქმის მახასიათებლების შეფასება.



ყაზანის ინტერნეტ-კონფერენციის მასალების გარეკანი.



მინსკის კონფერენციის მასალების გარეკანი.

Nanoforums held in 2014 and to be held in 2015.

2014 წლის 28 – 30 მაისს მინსკში, ბელარუსი, გაიმართა მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “ახალი მასალები და ტექნოლოგიები: ფხვნილური მეტალურგია, კომპოზიტიური მასალები, დამცავი დანაფარები, შედუღება”, რომელიც მიეძღვნა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85-ეწლისთავს. ბელარუსის შესაბამისი პროფილის კვლევით ცენტრებთან ერთად ამ ღონისძიების თანაორგანიზატორი იყო ევროპის ფხვნილოვანი მეტალურგიის ასოციაცია.

რუსულად გამოიკა კონფერენციის მასალები – Гл. ред. А. Ф. Ильющенко. Новые материалы и технологии: Порошковая металлургия, композиционные материалы, защитные покрытия, сварка. Матер. 11-й междунар. науч.-тех. конф. (Минск, 28 – 30 мая 2014 г.). 2014, Минск: Беларуская навука, 478 с. – ქართველი ავტორების სტატიით (გვ. 58-61):

• დ. ლ. გაბუნია, თ. ა. ცაგარეიშვილი, ლ. ს. ჩხარტიშვილი. კრისტალური β-რომბოედრული ბორის დაქუცმაცების თავისებურებანი.



კალგარისკონფერენციის
ისპროგრამისგარეკანი.



კალგარისკონფერენციის
სპონსორები.

ენერჯის, მინერალებისა და მასალების საერთაშორისო აკადემიამ (ემმსა – IAEMM) 2014 წლის 11 – 13 აგვისტოს კალგარიში, ალბერტა, კანადა, გამართა მოწინავე და ნანომასალების საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა (მნმსკ 2014 – ICANM 2014). კონფერენციის მრავალფეროვანი თემატიკა კარგადაა ასახული სესიების სახელებში: მოწინავე და ნანომასალები – მომზადება და გამოყენება; ფუნქციონალური მოწინავე და ნანომასალები; ნანომედიცინა, ნანობიოტექნოლოგია, გარემო და ნანოტოქსიკოლოგია; დახასიათების მოწინავე ტექნიკა და ნანომასალები; ნახშირბადის ნანომილაკები და გრაფენი; და კომპოზიტიური, პოლიმერული და ჰიბრიდული მასალები. ამ სამეცნიერო ფორუმის გეოგრაფია უაღრესად ფართო იყო – მასში

მონაწილეებდნენ მსოფლიოს 31 ქვეყნის (ავსტრალია, ალჟირი, ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, ბრაზილია, გაერთიანებული არაბული საამიროები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ერაყი, იაპონია, ინდოეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, კანადა, კორეის რესპუბლიკა, მალაიზია, მაროკო, ნიდერლანდები, პაკისტანი, პოლონეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, საქართველო, სინგაპური, ტაივანი, უნგრეთი, ჩეხეთი, ჩილე და ჩინეთი) წარმომადგენლები.

მნმსკ 2014-ის საორგანიზაციო-სამეცნიერო კომიტეტის წევრი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ლევან ჩხარტიშვილი. პოსტერული სესიის პროგრამაში ჩართული იყო ამ უნივერსიტეტის ორი ჯგუფის მოხსენებები:

- ლ. ჩხარტიშვილი, დ. ჯიშიაშვილი, ზ. შიოლაშვილი, ნ. მახათაძე, ვ. გობრონიძე, ა. ჯიშიაშვილი. სისტემაში ორთქლი – სითხე – მყარი სხეული გერმანიუმის ნიტრიდის კონუსისებრი ნანომავთულებების ზრდის შესწავლა.
- ლ. დევაძე, ჯ. მაისურაძე, გ. პეტრიაშვილი, ც. ზურაბიშვილი. ფოტოქრომული თხევადკრისტალური პოლიმერული ნანომასალები.

National Academy of Sciences of Ukraine (NASU)
Russian Academy of Sciences (RAS)
National Academy of Sciences of Belarus (NASB)
Ukrainian Materials Research Society
Frantsevich Institute for Problems of Materials Science of NASU
Institute for High Temperatures of RAS
Bauman Moscow State Technical University
Lykov Institute for Heat and Mass Exchange of NASB
INTEM LTD (Ukraine)

**EIGHTH
INTERNATIONAL CONFERENCE**

**«Materials and Coatings for Extreme Performances:
Investigations, Applications, Ecologically Safe
Technologies for Their Production and Utilization»**


Инженерно-физический журнал
(Belorussia)


Under auspices of
Federation of European
Materials Societies


National Contact Point
of European Program
"Horizon -2020"

PROCEEDINGS OF THE CONFERENCE

September, 2014
Kiev, Ukraine

მე-8 საერთაშორისო კონფერენციის "მასალები ექსტრემალურ გარემოში" თეზისების კრებულის სატიტულო გვერდი.

რეგულარულად, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. მ. ფრანცევიჩის მასალათმცოდნეობის პრობლემათა ინსტიტუტი, ამ მიმართულების უკრაინის, რუსეთისა და ბელარუსის სხვა წამყვან კვლევით ცენტრებთან ერთად ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს “მასალები და დანაფარები ექსტრემალურ გარემოში სამუშაოდ: კვლევები, გამოყენებები, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები მათი წარმოებისა და უტილიზებისათვის” (მეგ – MEE).

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მე-8 კონფერენციაც – მეგ 2014 – 2014 წლის სექტემბერში უნდა გამართული ყირიმში. მაგრამ უკრაინის გარშემო პოლიტიკური ვითარების გაუარესების და, კერძოდ, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გამო ეს შეუძლებელი გახდა.

ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ კონფერენცია “დაუსწრებლად” მაინც ჩატარებინათ – ელექტრონულად გამოეცათ და გაეგრძელებინათ პოტენციურ მონაწილეებს შორის დიდი რაოდენობით უკვე შემოსულ მოხსენებათა თეზისები.

ამ ელექტრონულ კრებულში ჩართული თეზისები განაწილებულია რამდენიმე სექციის მიხედვით: (A) მძიმე პირობებში მომუშავე მასალებისა და დანაფარების დიზაინის პრინციპები; (B) მძიმე პირობებში მომუშავე მასალებისა და დანაფარების მიღების პროცესების მეცნიერული წანამდგვრები და კომპიუტერული მოდელები; (C) მძიმე პირობებში მომუშავე მასალებისა და ნაკეთობების წარმოების და ურთიერთდაკავშირების მოწინავე ტექნოლოგიები; (D) მძიმე პირობებში მომუშავე მასალებისა და დანაფარების სტრუქტურა და თვისებები; (E) დეტალების თბოდამცავი დანაფარები კოსმოსური მრეწველობისათვის; (F) ადგილებში მძიმე პირობებით მასალებისა და დანაფარების მუშაობის შესახებ მოპოვებული ექსპერიმენტული მონაცემები; (G) სტრუქტურული, თბოსაიზოლაციო, მოსაპირკეთებელი და სხვა მასალების წარმოების მიზნით სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების პოტენციური და არსებული ტექნოლოგიები; და (H) ტექნოლოგიის გადაცემა საზოგადოების ინოვაციური განვითარების კატალიზატორია.

მიუხედავად იმისა, რომ კრებული რამდენიმე ასეულ თეზისს მოიცავს, კონფერენციის პოტენციურ მონაწილეთა გეოგრაფია არცთუ ფართო იყო – ისინი სულ 8 ქვეყანას (ავსტრია, ბელარუსი, გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) წარმოადგენდნენ.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები საქართველოდან იყვნენ გიორგი თავაძე (ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი) და პაატა კერვალიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი). ქართული კვლევით ჯგუფების მიერ კი შემდეგ მოხსენებათა თეზისები იქნა წარდგენილი:


- ზ. მ. მირიჯანაშვილი, ვ. ი. ღარიბაშვილი, დ. ლ. გაბუნია, ო. ა. ცაგარეიშვილი. ბორშემცველი კომპოზიტები ცვეთამდეგი და ნეიტრონმშთანთქმელი დანაფარებისათვის.
- გ. ნ. ნაზახტიანი, ლ. ს. ჩხარტიშვილი, ა. ვ. გიგინეიშვილი, კ. მ. გორგაძე. რადიოაქტიური ნარჩენების მართვა საქართველოში.
- დ. ვ. სახვაძე, გ. ვ. ჯანდიერი, ა. ვ. რაფავა. ფეროშენადნობების წარმოებისა და სეპარაციის შედეგად დარჩენილი წიდისა და შლამისაგან მანგანუმის ბიოექტრაქციის საკითხი.

დაბოლოს, 2014 წელს საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო ფორუმებს შორის უმნიშვნელოვანესი ქართველი ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიებისათვის უდავოდ იყო მე-3 საერთაშორისო კონფერენცია “ნანოტექნოლოგიები” (20 – 24 ოქტომბერი, თბილისი). ამ კონფერენციის ქრონიკა ჩვენს ჟურნალში ცალკე ქვეყნდება.

* * *

ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების სამინისტროს ქერბალას უნივერსიტეტის მეცნიერების კოლეჯი 2015 წლის 25 – 26 თებერვალს მართავს მე-3 საერთაშორისო კონფერენციას “ნანოტექნიკა და მისი გამოყენებები” (ქერბალა, ერაყი).

კონფერენცია მიზნად ისახავს ერაყში ნანოტექნოლოგიის დარგში მეცნიერული კვლევების გააქტიურებას, რათა ის ჩადგეს საზოგადოების სამსახურში; მეცნიერების ამ თანამედროვე დარგში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ერაყელ და მსოფლიოს მკვლევრებს შორის; ჩამორჩენის დასაძლევად მოწინავე სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდის გადებას; მეცნიერული კვლევების კონსოლიდირებას. ასე რომ, მიუხედავად დეკლარირებული საერთაშორისო ხასიათისა, ნათელია, ეს კონფერენცია უპირატესად ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული. იგეგმება კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების სტატიების სახით პუბლიკაცია არაბულად ან ინგლისურად ქერბალას უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემაში Sci. J. Univ. Kerbala.



შეუდარებლად უფრო მასშტაბურად გამოიყურება სხვა არაბულ ქვეყანაში, კერძოდ, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში 2015 წლის 16 – 18 მარტისათვის დაგეგმილი მე-2 საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა “ნანოტექ – დუბაი – 2015”. საორგანიზაციო კომიტეტი მონაწილეებს მათი სტატიების გამოქვეყნებას სთავაზობს ამ დარგის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, როგორცაა, მაგალითად, Int. J. Nano Technol.

რაც შეეხება გამოფენას, ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ იქ წარმოდგენილი იქნება უნიკალური ექსპერიმენტული მოწყობილობა და უახლესი ტექნოლოგიები.

2015 წლის ნანოფორუმების იმავე სერიას მიეკუთვნება 15–17 ივნისს პარიზში გასამართი საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა “ნანოტექ – საფრანგეთი – 2015”. ამ კონფერენციის სესიებია: მოწინავე ნანომასალები; ნანომასალების მიღება; დახასიათება და ინსტრუმენტები; ნანომასშტაბური ელექტრონიკა; ნანოტექნიკა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში; ნანოტექნოლოგიური უსაფრთხოება; და ნანოგამოყენებები.

ლონისძიების თანაორგანიზატორები არიან CNano National Network, SFNano France და IOP UK. ტექნიკური კომიტეტის მიერ პროგრამაში ჩართული ყველა სტატია გამოქვეყნდება გაერთიანებული სამეფოს ფიზიკის ინსტიტუტის (IOP UK) მიერ გამომცემულ კონფერენციის მასალებში, ხოლო რჩეული სტატიები – მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. კონფერენციის პარალელურად ტარდება არამარტო გამოფენა, არამედ – სამრეწველო ფორუმიც და საბროკერო დღეც. ისიც აღსანიშნავია, რომ მოწვეულ მომხსენებლებს შორის არიან ნობელის პრემიის ლაურეატები ფიზიკისა და ქიმიის დარგებში ალბერტ ფერტი და ჟან-მარი ლენი.



მნმსკ 2015-ის მასპინძლის – კანადის დედაქალაქის – ოტავას ერთი ხედი.

მოწინავე და ნანომასალების მორიგი, 2015 წლის, საერთაშორისო კონფერენციასა და გამოფენას (მნმსკ 2015 – ICANM 2015) კვლავაც კანადა უმასპინძლებს. საქართველოდან მნმსკ 2015-ის საორგანიზაციო-სამეცნიერო კომიტეტის წევრები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები ლევან ჩხარტიშვილი და დავით ჯიშიაშვილი. ამჯერად ლონისძიების გამართვა (10–12 აგვისტო) კანადის დედაქალაქში – ოტავაში იგეგმება.

ლევან ჩხარტიშვილი

2014 წლის 15 დეკემბერი

ISSN 1987-8826